# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 17 აპრილი 2008 №086 (3310) ფასი 50 თეთრი



# მოგზაურობა ევროპაში

## ნოდარ ახალკაცი კვიპროსზეც შეივლის

## თემურ ქეცბაიამ, ნაკრებისთვის მზად ვარო

ამ კვირაში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი ევროპაში რომ მართავს შეხვედრებს ეროვნული გუნდისთვის ახალი მწვრთნელის მოსაძებნად, აქამდეც გვეწერა. ოღონდ ისიც არის, რომ პრეზიდენტის ზუსტ მარშრუტზე ფედერაციაში არაფერს ამბობენ — მოლაპარაკებები დასრულდება და იმ კვირის დასაწყისში ყველაფერს დაწვრილებით მოგახსენებთო.

გუშინ კი, კვიპროსზე თემურ ქეცბაიას რომ დავურეკეთ, გვითხრა, ნოდარ ახალკაცს ვესაუბრე და სტუმრად ველიო. პრეზიდენტის კვიპროსზე ჩასვლის ზუსტი დრო უცნობია, თუმცა ეს შეხვედრა ამ თვეშივე რომ შედგება, ნაღდია.

უკვე კარგა ხანია, ქეცბაიას საქართველოს ნაკრებში მიწვევაზეა ლაპარაკი. თუმცა მთავარ მწვრთნელობას შესთავაზებს ახალკაცი თუ უცხოელი მწვრთნელის ასისტენტობას, ჯერ ვერ მოგახსენებთ.





# გაიცანით, იგორ კოკოშკოვი

## ჩვენი კალათბურთი ამერიკაში პირველ ევროპელს ჩაბარდა

როგორც იქნა, ნახევარწლიანი მოლოდინი დასრულდა. საქართველოს კალათბურთის ნაკრებს ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს. შემოდგომაზე წასული კენ შილდსი სერბმა იგორ კოკოშკოვმა შეცვალა.

37 წლის კაცის კვალობაზე კოკოშკოვს გვარიანად მდიდარი სამწვრთნელო ბიოგრაფია აქვს, რომელშიც რამდენიმე გამოსარჩევი ფაქტიცაა. თუნდაც ის, რომ კოკოშკოვი იუგოსლავური კალათბურთის ისტორიაში უმაღლესი ლიგის ყველაზე ახალგაზრდა მთავარი მწვრთნელი გახდა თავის დროზე.

ან ის, რომ პირველი ევროპელი მწვრთნელი იყო, ჯერ ამერიკულ უმაღლეს სტუდენტურ ლიგაში, მერე კი ნბა-ში.

ახლა კოკოშკოვი „დეტროიტ პისტონზის" ასისტენტი მწვრთნელია და მის ნაკლზე თუ ვილაპარაკებთ, ის არის, რომ მთავარი მწვრთნელობის მცირე გამოცდილება აქვს.

დანარჩენი კი... ახალ შესარჩევ ციკლამდე ბევრი დროც არ არის დარჩენილი და გამოჩნდება. და კიდევ ის, რომ იგორ კოკოშკოვი კარგად იცნობს ქართველებს. ხოლო ქართველთა მიზანი უცვლელია — A დივიზიონში ალზევება.

# იოჰან კრუიფს იარაღი მიადეს!

## 30 წლის მერე გამჟღავნებული საიდუმლო



მთელი 30 წელი საფეხბურთო მსოფლიომ სხვა მიზეზი იცოდა, თუ რატომ არ წავიდა 1978 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე არგენტინაში იოჰან კრუიფი. ის ძველი, როგორც ახლა ირკვევა, ყალბი მიზეზი, იმხანად არგენტინაში სამხედრო ხუნტის მმართველობის მიმართ დიდი ჰოლანდიელის პროტესტი იყო. და ისიც ხომ ვიცით, რომ იმ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში არგენტინამ სწორედ უკრუიფო ჰოლანდია დაამარცხა...

მაგრამ გამოხდა 30 წელი და კატალონიის რადიოსთვის მიცემულ ინტერვიუში გამხელილი ნამდვილი მიზეზი გუშინ მსოფლიოს სააგენტოებმა საგანგებო ამბად გაავრცელეს:

— ჩემი ცოლი გაკოჭეს, მე შუბლზე იარაღი მომადეს, შვილებიც სახლში იყვნენ. მომდევნო ოთხი თვე ბავშვები სკოლაში დაცვით დადიოდნენ, ჩემ სახლს კი პოლიცია იცავდა. ხანდახან ცხოვრებაში ფეხბურთზე მნიშვნელოვანი ამბები შეიძლება შეგემთხვეს...



კვიპროსის ჩემპიონატი ჯერ არ დასრულებულა, თუმც თემურ ქეცბაიას გაწვრთნილმა „ანართოსისმა“ ქვეყნის ჩემპიონობა უკვე გაინაღდა. გუშინ ქეცბაიას კვიპროსზე დავურეკეთ და ჩემპიონობის მილოცვასთან ერთად, საქართველოს ნაკრებზეც ვესაუბრეთ — ის ხომ საქართველოს ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატადაც ითვლება...

# თემურ ქეცბაია: უარზე რომ ვიყო, ნოდარ ახალკაცს არც შევხვდებოდი

## უგულო ფეხბურთელს ნაკრები კი არა, ბურთი არ უნდა დაანახო!

— მადლობა უფალს, რომ დასახულ მიზანს მივაღწიეთ და ჩემპიონობა არავის დავუთმეთ. ძალიან გახარებული ვარ.

**— თქვენი აზრით, რა იყო წარმატების მთავარი ფაქტორი?**

— გუნდმა მთელი სეზონი სტაბილურად ჩაატარა. ძნელია, 40 მატჩი ჩაატარო და ერთიც არ წააგო. ჩვენი დიდი პლუსი ის არის, რომ მხოლოდ 11 ფეხბურთელზე არ ვართ დამოკიდებულნი. „ანართოსისში“ 25 ფეხბურთელია და ყველანი თითქმის თანაბარი ძალისანი არიან. რომელიც უნდა ათამაშო ძირითადში, თავს არ შეირცხვენს. მათი მადლობელი ვარ.

**— მათ შორისაა თავდამსხმელი კლიმენტი წიტაიშვილიც...**

— წიტაიშვილი იანვარში შემოგვიერთდა და გუნდს მშვენივრად შეეწყო. მან „ანართოსისს“ ბევრი სარგებელი მოუტანა.

**— მომავალ სეზონში კიდევ ხომ არ აპირებთ რომელიმე ქართველი ფეხბურთელის აყვანას?**

— ჯერ ამაზე საუბარი ნაადრევია...

**— კვიპროსის ჩემპიონატი დონით საშუალო ევროპულ ჩემპიონატებს ბევრით ჩამორჩება?**

— ამის თქმა ძნელია, თუმც საკმაოდ ნორმალური დონეა. რაც მთავარია, წინსვლა შეიმჩნევა. ჩემპიონატიდან გამომდინარე, ნაკრებიც კარგი ჰყავთ და კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ კვიპროსის ნაკრებს ადვილად ხელს ნუ წამოკრავთ, მათთან ჩვენს ნაკრებს დიდი ბრძოლები ექნება.

**— საქართველოს ნაკრებსაც შევეხოთ. კლაუს ტოპმიოლერი გაუშვეს. საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მწვრთნელობის ერთ-ერთ კანდიდატად თქვენც მიგიჩნევთ. ნოდარ ახალკაცთან ხომ არ გისაუბრიათ?**

— რამდენიმე დღის წინ ვესაუბრე და მითხრა, რომ კვიპროსზე ჩამოვა. ჯერ კონკრეტულად არ ვიცი, აქ როდის იქნება, რადგან კვიპროსის ვიზის აღება ჭირს. ყოველ შემთხვევაში, ეს აპრილშივე უნდა მოხდეს.

**— თქვენ რომ ჩახვიდეთ სხვა ქვეყანაში?**

— ჯერ კვიპროსის ჩემპიონატი არ დასრულებულა და თასზეც ვაგრძელებთ ბრძოლას, ასე რომ...

**— კონკრეტულად ხომ არ უთქვამთ, რას გთავაზობენ — მთავარ მწვრთნელობას თუ თანაშემწეობას?**

— ყველაფერ ამას, როცა შევხვდებით, მაშინ გავიგებ.

**— ისე, ქართველი გულშემატკივრების საკმაო ნაწილი თქვენს კანდიდატურას ემხრობა...**

— ეს ჩემთვის, რა თქმა უნდა, ძალიან სასიამოვნოა, ოღონდ ბევრი რამეა გასარკვევი, კლუბშიც ვმუშაობ და ასე ადვილი არ არის გადაწყვეტილების მიღება. ვნახოთ, რას შემომთავაზებენ. უარზე რომ ვიყო, არც შევხვდებოდი. მთავარია, როგორ მოვილაპარაკებთ.

**— „ანართოსისში“ იციან, ახალკაცს რომ უნდა შეხვდე?**

— დიახ, ისინი საქმის კურსში არიან.

**— ახალკაცს იმ გაუგებრობაზე თუ ჰკითხეთ, ტოპმიოლერმა რომ თქვა, ჩემთვის არავის არაფერი უთქვამს ქეცბაიას თანაშემწეობაზეო...**

— როგორ არ ვკითხე... ახალკაცმა მითხრა, რომ ტოპმიოლერთან ნასაუბრებიც ჰქონდა და შეთანხმებულიც იყო. მინდა, მჯეროდეს, რომ ეს მართლა ასე იყო. სხვა შემთხვევაში კი არასერიოზულობაა.

**— ვთქვათ, გახდით საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი. ქეცბაია თუ აიტანს ნაკრებში ისეთ ფეხბურთელს, რომელსაც უხმობს, ის არ ჩამოვა, ტრავმა მაქვსო, მოიმიზეზებს და მეორე დღეს კლუბში ითამაშებს?**

— საქართველოს ნაკრებში ფეხბურთელს როგორც კი უხმობ, ის უკვე თბილისში წამოსასვლელად უნდა ემზადებოდეს. ნაკრებში მოვალეობის მოხდის მიზნით კი არ უნდა ითამაშო, შენი ქვეყნის მაისურის ჩაცმა უნდა გეამაყებოდეს. უგულო ფეხბურთელს ნაკრები კი არა, ბურთი არ უნდა დაანახო!

**ნუკრი ლოლაძე**

# შეყილაძის გუნდის ბულგარული 0:3



**რამდენიმე** დღეა, საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები ბულგარეთში იმყოფება მოსამზადებელ შეკრებაზე.

გელა შეყილაძის შეგირდები გუშინწინ ამხანაგურად ბულგარელ თანატოლებს გაეჯიბრნენ და დიდი ანგარიშით, 0:3 წააგეს.

დღეს ეს გუნდები კიდევ ერთხელ შეხვდებიან ერთმანეთს და ძალიან საეჭვო კია, მაგრამ მაინც ვიმედოვნებთ, რომ ქართველი ჭაბუკები სათანადო რევანშის აღებას შეძლებენ.

**ნუკრი ლოლაძე**

### შოტლანდია

პრემიერლიგა
გადადებული მატჩი
სელტიკი 2:1 რეინჯერსი
I დივიზიონი
გადადებული მატჩი
ქუინი 2:0 პარტიკი

### გერმანია

ბუნდესლიგა. XXIX ტური
არმინია 1:0 ლევერკუზენი
დორტმუნდი 1:3 ჰანოვერი
დუისბურგი 0:1 კარლსრუე
აინტრახტი 1:3 ბაიერნი
შტუტგარტი 3:0 ნიურნბერგი
II ბუნდესლიგა. XXIX ტური
ალემანია 1:0 აუე
კარლ ცაისი 2:2 გლადბახი
ფიურტი 2:1 ოფენბახი
კობლენცი 3:2 ფრაიბურგი
ზანკტ პაული 3:1 ჰოფენჰაიმი
სამხრეთ რეგიონალლიგა
გადადებული მატჩი
პფულენდორფი. 1:1 რეგენსბურგი

### შვეიცარია

სუპერლიგა
XXXI ტური
სიონი 0:0 ლუცერნი
სენტ გალენი 1:4 ბაზელი
თუნი 0:2 გრასჰოპერი
ჩელენჯლიგა
XXIX ტური
კიასო 1:1 კრინსი
ლოზანა 1:0 ჩამი
ვადუცი 5:1 კონკორდია
ივერდონი 2:2 ვინტერთური
სერვეტი 0:0 ლოკარნო
გოსაუ — შო დე ფონი გადადიდო

### პოლონეთი

ლიგის თასი. ნახევარფინალი
საპასუხო მატჩი
ზაგლემბიე... — not

### ჰოლანდია

ერედივიზიონი
XXXIII ტური
გრონინგენი 1:2 აიაქსი

### უკრაინა

თასის ნახევარფინალი
საპასუხო მატჩები
მ. დონეცკი 0:1 დინამო (1:2)
შახტარი 3:0 ჩერნომორეცი (2:1)

### ხორვატია

I დივიზიონი
XXVIII ტური
ციბალია 0:1 ვარტექსი
შიბენიკი 0:0 ინტერი
ზაგრები 6:1 მედიმური
დინამო 3:2 ოსიეკი
რიეკა 5:3 ზადარი
ჰაიდუკი 2:0 სლავენი

### შვედეთი

ალსვენსკა. V ტური
მალმიო 2:0 გეფლე
ნორჩიოპინგი 1:3 ჰალმსტადი
იორებრო 1:1 იურგორდენი

### ესპანეთი

თასის ფინალი
ვალენსია 3:1 ხეტაფე

### საფრანგეთი

თასის მეოთხედფინალი
ბორდო 0:0 (3:4პ) სედანი
კარკეფუ 0:1 პსჟ

### ბელგია

თასის ნახევარფინალი
საპასუხო მატჩი
ბეერსხოტი 1:1 ანდერლეხტი (0:1)

### პორტუგალია

თასის ნახევარფინალი
სპორტინგი 5:3 ბენფიკა

### საბერძნეთი

თასის ნახევარფინალი
საპასუხო მატჩები
ატრომიტოსი 1:2 არისი (0:1)
ოლიმპიაკოსი 3:1 თრასივულოსი (3:2)

### თურქეთი

თასის ნახევარფინალი
საპასუხო მატჩი
ქაისერი 4:1 რიზე (3:0)

### რუსეთი

თასის ნახევარფინალი
ამკარი 1:0 ურალი
ცსკა 2:1 ტომი

### ჩეხეთი

თასის მეოთხედფინალი
საპასუხო მატჩები
ბოჰემიანსი 0:0 ჟიჟკოვი (1:1)
ლიბერეცი 2:2 ტრინეცი (3:1)
სპარტა 3:1 ოლომოუცი (2:1)
ბრნო 2:1 იაბლონეცი (3:0)

### დანია

I დივიზიონი
გადადებული მატჩები
კოლდინგი 2:0 იოლსტიკე
ფრედერისია 2:0 სკივე
ფრემი 2:2 სიონდერისკე
ჰელერუპი 0:4 ჰვიდოვრე
თასის ნახევარფინალი
საპასუხო მატჩი
ესბიერგი 2:2 კოპენჰაგენი (1:0)

### იტალია

სერია A. გადადებული მატჩი
იუვენტუსი 3:0 პარმა
თასის ნახევარფინალი
I მატჩები
რომა 1:0 კატანია
ინტერი 0:0 ლაციო

# ლოკომოტივმა როდინა გაისტუმრა

**რამდენიმე** დღის წინ თბილისში სტუმრად იყო აზერბაიჯანული გუნდი „როდინა“ (1994 წელს დაბადებულები).

აზერბაიჯანელებმა ამხანაგური მატჩი გამართეს თბილისის „ლოკომოტივის“ 14-წლამდელთა გუნდთან და 0:2 დამარცხდნენ.

ქართველთაგან გოლები ზაქარია ქეშელაშვილმა და დავით დართიმელიამ გაიტანეს.



# საქართველოს ჩემპიონატი

## პირველი ლიგა

**ზესტაფონი 2 5:1 კოლხეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მაღაროელი | 22 | 18 | 2 | 2 | 46:15 | 56 |
| ზესტაფონი 2 | 22 | 12 | 2 | 8 | 38:21 | 38 |
| მეშახტე | 22 | 12 | 2 | 8 | 35:30 | 38 |
| მერანი (მ) | 22 | 10 | 5 | 7 | 27:19 | 35 |
| ტორპედო | 22 | 9 | 6 | 7 | 32:26 | 33 |
| კოლხეთი | 22 | 8 | 6 | 8 | 26:28 | 30 |
| ხობი | 22 | 8 | 6 | 8 | 30:25 | 30 |
| სამტრედია | 22 | 6 | 4 | 12 | 26:45 | 22 |
| უნივერსიტეტი | 22 | 6 | 3 | 13 | 16:25 | 21 |
| ფაზისი | 22 | 2 | 2 | 18 | 17:58 | 8 |

*„ფაზისი“ მოხსნილია გათამაშებიდან*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გოგუა: რატომ მანეკენი, რატომ ანტისიმბოლური?!



გოგიტა გოგუა და ნაზირ კაჟაროვი

**იშვიათობაა,** საშუალო დონის გუნდმა ჩემპიონობის ერთ-ერთ ფავორიტს მოუგოს და მისი წამყვანი ნახევარმცველი ტურის ანტისიმბოლურ ნაკრებში მოხვდეს. ლაპარაკია გოგიტა გოგუაზე, ვისმა ნალჩიკის „სპარტაკმაც“ მოსკოვში ცსკა-ს 1:0 მოუგო.

მაშ, რატომ შეიყვანა რუსულმა პრესამ გოგუა ანტინაკრებში?

ისევ და ისევ უხეშობის და კიდევ, არადამაჯერებელი თამაშის გამო. ჩვენიანმა ყვითელი ბარათი მიიღო და იმ მომენტში წითელს აშკარად გადაურჩა.

ცსკა უდიდეს უპირატესობას ფლობდა ნალჩიკელებთან, მაგრამ ყაბარდოელმა ნაზირ კაჟაროვმა ბოლო წუთზე იქით გაუტანა მასპინძლებს. რუსული პრესა წერს, კაჟაროვის გარდა, სტუმართა არც ერთ ნახევარმცველსა და თავდამსხმელს არაფერი გაუკეთებიათ, მანეკენებივით იდგნენ.

„განსაკუთრებით გოგუას თამაში იყო თვალშისაცემი. მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთელებმა სახელიან მეტოქეს მოუგეს, გოგუა მაინც ვერ გაექცა ტურის ანტინაკრებს, რადგან თავის პოზიციაზე ყველაზე არადამაჯერებლად გამოიყურებოდა“ — წერენ რუსი ჟურნალისტები.

**ილია ნანოგაშვილი**

# ვან გაალზე არმიაც თქვეს

„**სავარაუდოდ,** ლუის ვან გაალი საქართველოს ნაკრებში სამუშაოდ არ ჩამოვა, თუმცა მისი იმედი ჯერ არ გადამწურვია“ — ასე გვითხრა გუშინ შოთა არველაძემ.

და რეალურია თუ არარეალური მისი ჩამოყვანა, ჩვენ მაინც ვთქვათ, რომ „ჰამბურგისა“ და „გალათასარაის“ გარდა, ჰოლანდიელს მოსკოვის ცსკა-ც ეპატიჟება. რუსული სააგენტოების ცნობით, ცსკა-ში ვალერი გაზაევის დღეები დათვლილია, მის შემცვლელად კი ორი ჰოლანდიელიდან ერთ-ერთი დაინიშნება — ვან გაალის გარდა ესპანურ „ვალენსიაში“ საშინელი შედეგების მქონე რონალდ კუმანზეცაა ლაპარაკი.

**ილია ნანოგაშვილი**

# რახიმოვთან ჩხუბს სულაც არ ვაპირებ

## მალხაზ ასათიანი: სათამაშოდ მზად ვარ

**საქართველოს** ეროვნული ნაკრებისა და მოსკოვის „ლოკომოტივის“ მცველი მალხაზ ასათიანი თვლის, რომ სეზონის წინ ტრავმიანობა გუნდის მთავარი მწვრთნელის რაშიდ რახიმოვის საწვრთნელ პროცესს არ უკავშირდება.

„ფეხი საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში ვიტკინე ლატვიის წინააღმდეგ ჩატარებულ ამხანაგურ მატჩში. მერე წელთან დაკავშირებით შემექმნა პრობლემები. ამ შემთხვევაში რახიმოვის ვარჯიშები არაფერ შუაშია — ეს ყოველივე უფრო დამთხვევაა. ბოლო სამი სეზონის განმავლობაში ერთი და იგივე მეორდება: ჩემპიონატის დასაწყისი ტრავმების გამო მიცდება. არ მიმართლებს“ — განაცხადა ასათიანმა.

მალხაზის თქმით, ახლა ტრავმა აღარ აწუხებს და სათამაშოდ მზადაა...

„ნორმალურად ვარ და არაფერი მტკივა. უკვე საკმაო ხანია, ძირითად შემადგენლობასთან ერთად ვვარჯიშობ. სათამაშოდ მზად ვარ, თუმცა ყველაფერი ჩემზე არ არის დამოკიდებული, რადგან ეს მწვრთნელის გადასაწყვეტია. თუ იგი თვლის, რომ ჯერ ოპტიმალურ სათამაშო ფორმაში არ ვარ, ისღა დამრჩენია, დაველოდო, როდის დამრთავს თამაშის ნებას“.



ასათიანმა ისიც აღნიშნა, რომ უთამაშებლობის გამო „ლოკომოტივის“ თავკაცზე ნაწყენი სულაც არ არის...

„საწყენი არაფერია. რა ვქნა — ვიარო და ვიკითხო, რატომ არ მათამაშებენ? მწვრთნელთან კამათს ხომ არ დავიწყებ? მერე ამის გამო შეიძლება ჭორებიც აგორდეს, რომ მწვრთნელთან კონფლიქტი მსურს. არჩევანი რაშიდ რახიმოვმა უნდა გააკეთოს. მე კი ერთი გამოსავალი მაქვს — ვივარჯიშო და დავამტკიცო, რომ გუნდისთვის სარგებლობის მოტანა შემიძლია“.

**ბახა შალამბერიძე**

# ქართველებმა ვოლგა აამღვრიეს



მიხეილ აშვეთია და გოჩა ხოჯავა

**მახაჩყალის** „ანჟი“ შინ აგებდა „ვოლგასთან“, თუმცა პირველი ტაიმის მიწურულს მიხეილ აშვეთიამ გაათანაბრა, 49-ე წუთზე კი გოჩა ხოჯავამ გადამწყვეტი შეაგდო და ომარ თეთრაძის გუნდმა 2:1 მოიგო.

რუსეთის პირველდივიზიონელ „ანჟის“ ხუთი ტურის შემდეგ 10 ქულა აქვს და საგაისსეზონოდ პრემიერლიგაში თამაშის უმიზნებს.

დაღესტნელთა ქართველებიდან მხოლოდ ვალერი აბრამიძემ ითამაშა სრულად. ხოჯავა, აშვეთია და ზურაბ არზიანიც ძირითადში იყვნენ, თუმც მეორე ტაიმში შეცვალეს.

ისიც ვთქვათ, რომ არზიანმა ტრავმა მიიღო.

გიორგი ნავალოვსკი დისკვალიფიცირებული გახლდათ, რევაზ ბარაბაძე სათადარიგოთა სკამიდან არ წამომდგარა, ხოლო რევაზ ჯიქია განაცხადშიც არ იყო.

გოლებიც აღვწეროთ: აშვეთიამ „ვოლგას“ მეკარისგან მოგერიებულ ბურთს დაამატა, ხოჯავამ კი საჯარიმოში ერთი მცველი მოატყუა და ცხრიანში ჩაჭედა ბურთი.

**ილია ნანოგაშვილი**



# კლაუს ტოპმიოლერის მინუსი სირბილე იყო

## ნუ გაიშვერთ ხელს მარტო მწვრთნელისკენ

რუსულ პრემიერლიგაში სპეციალისტების გაოცებას იწვევს ყაზანის „რუბინი“ — გუნდმა საწყისი ხუთივე მატჩი მოიგო და ერთპიროვნულად ლიდერობს ჩემპიონატს. ყაზანელთა წარმატებაში თავისი წვლილი ქართველ ფეხბურთელებსაც შეაქვთ — ახალწვეული დავით კვირკველია ძირითადი შემადგენლობის უცვლელი წევრია, ხოლო ლაშა სალუქვაძემ სამი მატჩი ითამაშა და არანაკლებ წარმატებით, თუმცა „რუბინის“ მწვრთნელი ყურბან ბერდიევი სალუქვაძეს ხანდახან სათადარიგოთა შორის ტოვებს. მეხუთე ტურში სათადარიგოთა სკამზე დასმამ სალუქვაძეს ლიგის ცენტრალური მცველების საუკეთესო ხუთეული დაატოვებინა, რადგან პროცენტულად თამაშების არასაკმარისი რაოდენობა დაუგროვდა. საქართველოს ნაკრების მცველს გუშინ ყაზანში მაშინ შევეხმიანეთ, როცა ვარჯიშზე მიიჩქაროდა, თუმც დრო მაინც დაგვითმო...

— დღეს ერთი ვარჯიში უკვე გვქონდა, ახლა მეორეზე მივდივარ.

— ლაშა, ჯერ „რუბინზე“ ვთქვათ: კარგი დასაწყისი გამოგივიდათ...

— მართლა შესანიშნავად დავიწყეთ, ზედიზედ ხუთი მატჩი მოვიგეთ და ახლა რეკორდზე მივდივართ — კიდევ ორი გამარჯვება გვინდა. სტარტზე ზედიზედ შვიდი მატჩი რუსეთში ჯერ არავის მოუგია. კარგი გუნდი გვყავს, საკმაოდ გავძლიერდით და ამის გაკეთება არ უნდა გაგვიძნელდეს.

— ნუკრი რევიშვილის უქმობის მიზეზი ცნობილია, სამაგიეროდ, რუსული პრესა კვირკველია-სალუქვაძის თამაშს აფასებს დადებითად...

— მთლიანად გუნდი თამაშობს კარგად და დათოც მშვენივრად მოერგო აქაურობას. საერთოდ, ქართველებს დიდ პატივს გვცემენ.

— და მაინც, ბერდიევმა პირველი და ბოლო მატჩი გამოგატოვებინა...

— რუსეთის ჩემპიონატში ლეგიონერებზე ლიმიტია დაწესებული — მოედანზე, სულ ცოტა, ოთხი რუსი ფეხბურთელი უნდა იყოს, ამიტომ სათადარიგოთა სკამზეც მიწევს ყოფნა, თუმც ჩემსავით არიან სავო მილოშევიჩი და სერგეი რებროვი... მწვრთნელსაც ვესაუბრე და მითხრა, მარჯვენა ფლანგზე უნდა გათამაშოო. ერთი მატჩი მართლაც ვითამაშე მარჯვნივ, ორი კი — ცენტრში. ისე, ცენტრალური მცველობა მირჩევნია და ეს ვუთხარი ბერდიევსაც, მაგრამ პრობლემასაც არ ვქმნი — სადაც გუნდისთვის საჭიროა, იქ დავდგები.

— საქართველოს ნაკრებშიც ხშირად გიწევს მარჯვენა მცველად ყოფნა...

— მით უმეტეს, ნაკრებში, სადაც საჭირო ვიქნები, იქ ვითამაშებ, მაგრამ ცენტრში მაინც უფრო კომფორტულად ვგრძნობ თავს. საქართველოს ნაკრებში თურქეთთან და ურუგვაისთან მატჩებში ცენტრში ვიდექი და, მგონი, ნორმალურადაც — გოლი არ გაგვიშვია.

— ნაკრები ამჟამად უმწვრთნელოდაა. კლაუს ტოპმიოლერის ხელში სტაბილურად ითამაშე — როგორ შეაფასებდი მის მუშაობას?

— ტოპმიოლერი რომ მაღალი კლასის მწვრთნელია, მისი წარსულიდან ჩანს, მაგრამ ნაკრებში არაფერი გამოუვიდა, თუმცა მარტო მწვრთნელს ნუ დავაბრალებთ ყველაფერს — ფეხბურთელებიც საკმაოდ ვცოდავდით. ფეხბურთში არის ასეთი გამოთქმა — სათამაშო დისციპლინა. ამ დროს ხდება მწვრთნელის დავალებების მოედანზე შესრულება, რასაც ვერ ვახერხებდით. „რუბინში“ ასე არ არის, ყველამ იცის, რა უნდა გააკეთოს და აკეთებს კიდეც. ვთვლი, რომ ნაკრებს დისციპლინის მოყვარული, მკაცრი მწვრთნელი სჭირდება. ტოპმიოლერის ყველაზე დიდი მინუსი ის იყო, რომ რბილი ადამიანია.

— შესარჩევ ჯგუფზე რას იტყვი?

— არავინ იფიქროს, რომ იოლი ჯგუფია, მაგრამ, მეორე მხრივ, ჯგუფში ერთდროულად რამდენიმე გრანდი აღარ გვყავს. თუ ამბიცია და შნო გვაქვს, ამაზე უკეთეს ჯგუფს ვერ ვინატრებთ. თუ რამეზე ვაცხადებთ პრეტენზიას, უნდა დავამტკიცოთ!

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წიტაიშვილის სათასო გოლი



**კვიპროსის** უკვე ჩემპიონმა „ანართოსისმა" გუშინ სათასო მატჩი მოიგო ლიმასოლის აელ-თან — 2:1.

გადამწყვეტი გოლი 32-ე წუთზე კლიმენტი წიტაიშვილმა გაიტანა.

თემურ ქეცბაიას გუნდი კვიპროსულ დუბლს ეშურება და ვინძლო, ქართველმა მწვრთნელმა მეხუთე ტიტული მოიგოს კუნძულზე.

გერმანიის მეორე ბუნდესლიგაში იენის „კარლ ცაისმა" შინ 2:2 ითამაშა „გლადბახთან".

ილია კანდელაკმა სრულად იბურთავა, გიორგი ონიანი და გიორგი სეთურიძე კი სათადარიგოთა სკამზე ისხდნენ.

ქართველების „კარლ ცაისს" რეგიონალლიგაში გავარდნისგან სასწაულიღა უშველის.

„ფრაიბურგმა" მთლად მიივიწყა ოთარ ხიზანიშვილი.

„ფრაიმ" მის გარეშე ითამაშა და 2:3 წააგო „კობლენცთან", რითაც ბუნდესლიგაში გადასვლის შანსი შეიმცირა.

**ილია ნანობაშვილი**

# ფოგთსი ცხადაძეს შეხვდა

**აზერბაიჯანის** ნაკრების ახალდანიშნულმა მწვრთნელმა, გერმანელმა ბერტი ფოგთსმა განაცხადა, რომ ბაქოს „სტანდარდის" ქართველ თავკაც კახა ცხადაძეს შეხვდა და მასთან საუბრით კმაყოფილია.

ფოგთსი სხვა კლუბების მწვრთნელებთანაც გეგმავს შეხვედრებს, რათა მათგან სრული ინფორმაცია მიიღოს ნაკრების კანდიდატებზე.

„კარგია, რომ აზერბაიჯანული კლუბების უმეტესობას უცხოელი მწვრთნელი ჰყავს" — განაცხადა 1996 წლის ევროპის ჩემპიონმა მწვრთნელმა.

# გაგუა-სირბილაძე მეორე ლიგაში გამოჩნდნენ

**საინტერესო** ამბავია: ვალერი გაგუამ და ირაკლი სირბილაძემ მეორელიგელ „ნორჩ დინამოში" ითამაშეს.

დინამოელები 0:0 გაეყარნენ „ორბებს" და სამქულიანი უპირატესობით ლიდერობენ აღმოსავლეთ ზონის ცხრილს, მეორეზე კი სწორედ „ორბებია".

27 წლის გაგუა ერთხანს საქართველოს ასაკობრივ ნაკრებებში გოლაობდა, სირბილაძე კი სულ ორი-სამი წლის წინ თბილისის „ლოკომოტივის" ფორვარდი გახლდათ, როცა ვაკელებმა საქართველოს თასი მოიგეს, მერე შვედეთის დაბალ ლიგაშიც მოსინჯა ძალა და ახლა ისევ საქართველოშია, ოღონდ... მეორე ლიგაში.

**ილია ნანობაშვილი**



# დავით ლომაია: ჩემპიონი ვიტ ჯორჯია უნდა გახდეს!

საქართველოს მე-19 ეროვნული ჩემპიონატი ფინიშისკენ მიდის და მდგომარეობაც უფრო და უფრო იძაბება. მომავალ ტურში მცხეთაში ლიდერთა ჯახია: „ვიტ ჯორჯია" — „დინამო". ალბათ ხვდებით, რომ ამ მატჩზე ძალიან ბევრია დამოკიდებული. გუშინ ვიტელთა მცველ დავით ლომაიას შევეხმიანეთ და სანამ მომავალ მატჩზე ვიტყოდეთ, გასულ ტურში ცხინვალის „სპარტაკთან" დაკარგულ ქულებზე ვკითხეთ...

— ძნელია, ყველა თამაში მოიგო. 14 თამაში ზედიზედ ვიმარჯვეთ და ცხინვალის „სპარტაკთან" უკვე აღარ გაგვიმართლა, მაგრამ ახლა ეს უნდა დავივიწყოთ და მომავალ თამაშზე ვიფიქროთ.

— ამ ტურში მცხეთაში თქვენი მთავარი კონკურენტი თბილისის „დინამო" ჩამოდის...

— მძიმე ბრძოლა გვექნება, თუმცა უკან დასახევი გზა არ გვაქვს — უნდა მოვიგოთ. ამ თამაშზე ძალიან ბევრი რამეა დამოკიდებული — „ვიტ ჯორჯია" ჩემპიონი უნდა გახდეს!

— გუნდში ტრავმირებული ხომ არავინაა?

— გიორგი დათუნაიშვილს ჰქონდა მცირე ტრავმა, თუმცა უკვე ივარჯიშა. მოკლედ, ყველანი ჯანზე ვართ.

— შენს ძმაზე, გიორგიზეც ვთქვათ. რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ საქართველოს ჩემპიონატში დაბრუნდა და რუსთავის „ოლიმპში" ჩაირიცხა...

— გიორგი საკმაო ხანი უთამაშებელი იყო და კარგია, რომ თამაში დაიწყო. მაისამდე აქ შეიძენს სათამაშო პრაქტიკას და შემდეგ ალბათ უცხოეთში წავა.

— შენც ხომ არ აპირებ უცხოეთში კარიერის გაგრძელებას?

— „ვიტ ჯორჯიასთან" ამ სეზონის ბოლომდე მაქვს კონტრაქტი და შემდეგ ვნახოთ...

**ნუკრი ლოლაძე**

# მესხეთთან წაგებაში პროფლიგის ხელიც ურევია
## დავით ეჯიბიშვილი: საქმე აქამდე არ უნდა მიგვეყვანა

საქართველოს მე-19 ეროვნული ჩემპიონატი დასასრულისკენ მიდის და საჩემპიონო ბრძოლასთან ერთად ცხრილის ქვედა ნაწილშიც ბევრი რამ არის გასარკვევი. „სპარტაკი", „ლოკომოტივი", „მერანი", „ბათუმი", „დილა" — ამ ხუთეულიდან ჩემპიონატის ბოლოს ერთი ბედნიერი ელიტაში დარჩება, ერთსაც პლეი აუტში მოუწევს მონაწილეობა, სამი კი უმაღლეს ლიგას დაემშვიდობება. სავარაუდოდ, გორის „დილა" უკვე განწირულია, დანარჩენები კი ბრძოლას აგრძელებენ. გუშინ „მერანის" მთავარ მწვრთნელ დავით ეჯიბიშვილს შევეხმიანეთ და დარჩენილ ტურებზე ვკითხეთ...

— „მერანი" დასარჩენად იბრძვის. რას იტყოდით გუნდის თამაშზე და როგორ შეაფასებდით დღევანდელ მდგომარეობას?

— სიტუაცია მართლაც ურთულესია. არადა, შეგვეძლო, საქმე აქამდე არ მიგვეყვანა. ახლა ისღა დაგვრჩენია, დარჩენილი თამაშები წარმატებით ჩავატაროთ და უმაღლეს ლიგაში ადგილი შევინარჩუნოთ. რაც შეეხება თამაშის ხარისხს, ახალციხის „მესხეთთან" (0:4) ბოლო ტურში, შეიძლება ითქვას, მთელმა გუნდმა ჩააგდო მატჩი. თამაშები მანამდეც წაგვიგია — თუნდაც იგივე „ამერთან" 1:5 დავმარცხდით — მაგრამ მომენტები მეტოქეზე არანაკლები გვქონდა. მთავარია, ვინ როგორ გამოიყენა ისინი. ახალციხელებთან კი ყოვლად უსახური მატჩი ჩავატარეთ, რომელიც ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. ფეხბურთელებთან საკმაოდ მკაცრი საუბარი შედგა და მათაც მიიღეს შენიშვნები. ახლა კი დარჩენილი მატჩების იმედად ვართ...

— დარჩენილი მატჩებიც არ იქნება იოლი. როგორ ფიქრობთ, კალენდარი რამდენად შეგიწყობთ ხელს მიზნის მიღწევაში?

— ჯერ ზესტაფონში გვაქვს გასვლითი მატჩი... „ზესტაფონი" რა სიძლიერის გუნდიცაა, ყველამ კარგად ვიცით, მაგრამ ჩვენ უკან დასახევი გზა არ გვაქვს და ბრძოლას ვაპირებთ. ამის შემდეგ კონკურენტ „ლოკომოტივს" მივიღებთ — ამ შეხვედრაზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული და აუცილებლად უნდა მოვიგოთ. შინ გვიწევს თამაში რუსთავის „ოლიმპთანაც", რომელიც ინტერტოტოსთვის იბრძვის. თითქოს უმოტივაციონი არიან „დილა" და „სიონი", მაგრამ „მესხეთიც" უმოტივაციო იყო და როგორ წავაგეთ, ნახეთ... ესეც ალბათ პროფლიგის გადაწყვეტილების მიზეზია — ათეულში ყველა ადგილზე პრემიალური თანხაა დაწესებული და ამან გარიგებული თამაშების რაოდენობა მკვეთრად შეამცირა. ასე რომ, ყველა მატჩში ბრძოლა გველის, ჩვენსას ვეცდებით... რა გამოვა, ვნახავთ...

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



# თუკი მან მასთან...

## მეტი დინამოს, ნაკლები ვიტ ჯორჯიას, ზესტაფონი კი იღბლის იმედად

**ჩემპიონატის დასრულებამდე ხუთი ტური დარჩა. პირველობისთვის ბრძოლას ისევ სამი გუნდი აგრძელებს, თუმცა წინა ტურის შედეგებიდან გამომდინარე, „დინამოს“ შანსები მნიშვნელოვნად გაიზარდა, „ვიტ ჯორჯიასა“ და „ზესტაფონისა“ კი — შემცირდა. შეგახსენებთ: 21-ე ტურში „დინამომ“ „ამერს“ 2:1 მოუგო, „ვიტ ჯორჯიამ“ კი ორი ქულა დაკარგა „სპარტაკთან“ (0:0).**

**ცხადია, დარჩენილ ტურებშიც შეიძლება, რომ ფავორიტებმა ლიგაში დასარჩენად მებრძოლ გუნდებთან ქულები დაკარგონ, მაგრამ ქვემოთ, საჩემპიონო შანსების გარჩევისას, მსგავსი მოულოდნელობები გამოვრიცხოთ და ჩავთვალოთ, რომ ალოგიკური ანგარიშებით მატჩები არ დასრულდება და ჩემპიონის ვინაობა ქვემოთ ჩამოთვლი წყვილების მატჩების შედეგების მიხედვით გაირკვევა...**

**მნიშვნელოვანი მატჩები**

22-ე ტური:

**ვიტ ჯორჯია — დინამო**

24-ე ტური:

**ვიტ ჯორჯია — ამერი**

**ზესტაფონი — დინამო**

26-ე ტური:

**ზესტაფონი — ამერი**

უახლოეს ტურში „ვიტ ჯორჯია“ „დინამოს“ მასპინძლობს და სამივე შესაძლო შედეგის მიხედვით ცხრილის მდგომარეობას შევხედოთ...

| | |
|---|---|
| **ვიტ ჯორჯია — დინამო** | **1** |
| დინამო | 57 |
| ვიტ ჯორჯია | 56 |
| ზესტაფონი | 54 |
| **ვიტ ჯორჯია — დინამო** | **X** |
| დინამო | 58 |
| ვიტ ჯორჯია | 54 |
| ზესტაფონი | 54 |
| **ვიტ ჯორჯია — დინამო** | **2** |
| დინამო | 60 |
| ზესტაფონი | 54 |
| ვიტ ჯორჯია | 53 |

მატჩის ფრედ ან სტუმართა გამარჯვებით დასრულების შემთხვევაში ყველაფერი, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია: „დინამოს“ ჩემპიონობაში პრაქტიკულად ველარავინ შეეცილება. ამიტომ ქვემოთ იმ ვარიანტების გარჩევა განვაგრძოთ, „ვიტ ჯორჯიას“ და „ზესტაფონს“ საჩემპიონო შანსს რომ უტოვებს, ანუ მცხეთაში ვიტელებმა თუ მოიგეს.

23-ე ტურში საინტერესო ბევრიც არაფერი ხდება და ჩავთვალოთ, რომ სამივე ფავორიტი მოიგებს, ცხრილი კი ასეთ სახეს მიიღებს:

| | |
|---|---|
| დინამო | 60 |
| ვიტ ჯორჯია | 59 |
| ზესტაფონი | 57 |

24-ე ტურში კი ორი პრინციპული თამაშია და ცხრა შესაძლო შედეგი შეიძლება მივიღოთ:

1 ვარიანტი

| | |
|---|---|
| **ვიტ ჯორჯია — ამერი** | **1** |
| **ზესტაფონი — დინამო** | **1** |
| ვიტ ჯორჯია | 62 |
| დინამო | 60 |
| ზესტაფონი | 60 |

2 ვარიანტი

| | |
|---|---|
| **ვიტ ჯორჯია — ამერი** | **1** |
| **ზესტაფონი — დინამო** | **X** |
| ვიტ ჯორჯია | 62 |
| დინამო | 61 |
| ზესტაფონი | 58 |

3 ვარიანტი

| | |
|---|---|
| **ვიტ ჯორჯია — ამერი** | **1** |
| **ზესტაფონი — დინამო** | **2** |
| დინამო | 63 |
| ვიტ ჯორჯია | 62 |
| ზესტაფონი | 57 |

4 ვარიანტი

| | |
|---|---|
| **ვიტ ჯორჯია — ამერი** | **X** |
| **ზესტაფონი — დინამო** | **1** |
| დინამო | 60 |
| ვიტ ჯორჯია | 60 |
| ზესტაფონი | 60 |

5 ვარიანტი

| | |
|---|---|
| **ვიტ ჯორჯია — ამერი** | **X** |
| **ზესტაფონი — დინამო** | **X** |
| დინამო | 61 |
| ვიტ ჯორჯია | 60 |
| ზესტაფონი | 58 |

6 ვარიანტი

| | |
|---|---|
| **ვიტ ჯორჯია — ამერი** | **X** |
| **ზესტაფონი — დინამო** | **2** |
| დინამო | 63 |
| ვიტ ჯორჯია | 60 |
| ზესტაფონი | 57 |

7 ვარიანტი

| | |
|---|---|
| **ვიტ ჯორჯია — ამერი** | **2** |
| **ზესტაფონი — დინამო** | **1** |
| დინამო | 60 |
| ზესტაფონი | 60 |
| ვიტ ჯორჯია | 59 |

8 ვარიანტი

| | |
|---|---|
| **ვიტ ჯორჯია — ამერი** | **2** |
| **ზესტაფონი — დინამო** | **X** |
| დინამო | 61 |
| ვიტ ჯორჯია | 59 |
| ზესტაფონი | 58 |

9 ვარიანტი

| | |
|---|---|
| **ვიტ ჯორჯია — ამერი** | **2** |
| **ზესტაფონი — დინამო** | **2** |
| დინამო | 63 |
| ვიტ ჯორჯია | 59 |
| ზესტაფონი | 57 |

ჩამოთვლილი 9 ვარიანტიდან კი მხოლოდ ორია ისეთი, ბოლო ტურის „ზესტაფონი“ — „ამერს“, ერთი შეხედვით, აზრს რომ უტოვებს. მე-4.და მე-7 ვარიანტებზე მოგახსენებთ. დარჩენილი შვიდი ვარიანტიდან ორში ჩემპიონი „ვიტ ჯორჯია“ ხდება, ხუთი ვარიანტი კი „დინამოსია“.

შემდეგ მოდის ისევ ნაკლებად საინტერესო 25-ე ტური, რომლის მერეც, ნახსენები მე-4 ვარიანტის შემთხვევაში, ცხრილი ასეთ სახეს მიიღებს:

| | |
|---|---|
| დინამო | 63 |
| ვიტ ჯორჯია | 63 |
| ზესტაფონი | 63 |

ხოლო თუ მე-7 ვარიანტი მივიღეთ, 25-ე ტურის მერე ცხრილი ასეთი იქნება:

| | |
|---|---|
| დინამო | 63 |
| ზესტაფონი | 63 |
| ვიტ ჯორჯია | 62 |

ახლა ეს ორი შემთხვევა ცალ-ცალკე განვიხილოთ...

| | |
|---|---|
| **ზესტაფონი — ამერი** | **1** |
| დინამო | 66 |
| ვიტ ჯორჯია | 66 |
| ზესტაფონი | 66 |
| **ზესტაფონი — ამერი** | **X** |
| დინამო | 66 |
| ვიტ ჯორჯია | 66 |
| ზესტაფონი | 64 |
| **ზესტაფონი — ამერი** | **2** |
| დინამო | 66 |
| ვიტ ჯორჯია | 66 |
| ზესტაფონი | 63 |

აქ კი ჩემპიონატის დებულება უნდა მოვიშველიოთ, რომელიც გვამცნობს, რომ თანაბარქულიანობისას უპირატესობა მთლიანად ჩემპიონატში მეტ მოგებას ენიჭება. ამ მხრივ კი, უპირატესობა „დინამოს“ მხარეს იქნება და ჩემპიონიც ის ხდება.

24-ე ტურში მე-7 ვარიანტის ამოსვლის შემთხვევაში კი „ზესტაფონი“ — „ამერის“ თამაშის მერე ცხრილი ასე დალაგდება:

| | |
|---|---|
| **ზესტაფონი — ამერი** | **1** |
| დინამო | 66 |
| ზესტაფონი | 66 |
| ვიტ ჯორჯია | 65 |
| **ზესტაფონი — ამერი** | **X** |
| დინამო | 66 |
| ვიტ ჯორჯია | 66 |
| ზესტაფონი | 64 |
| **ზესტაფონი — ამერი** | **2** |
| დინამო | 66 |
| ვიტ ჯორჯია | 65 |
| ზესტაფონი | 63 |

აქაც, ყველა შემთხვევაში, ჩემპიონი „დინამოა“, „ზესტაფონი“ — „ამერის“ მატჩს კი მხოლოდ ის დატვირთვა აქვს; შეძლებს თუ არა „ზესტაფონი“ საუეფასთასო მეორე ადგილის დაკავებას.

და ერთიც: არც ერთ ჩამოთვლილ ვარიანტში „ზესტაფონს“ ჩემპიონობის შანსი აღარ აქვს.

ჰოდა, ისღა რჩება, რომ „დინამომ“ დარჩენილ ტურებში ახალციხის „მესხეთთან“, თბილისის „ლოკომოტივთან“ ან გორის „დილასთან“ უნდა დაკარგოს ქულები.

**გიორგი დარჯანია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 21 | 19 | 0 | 2 | 53:12 | 57 |
| ვიტ ჯორჯია | 21 | 17 | 2 | 2 | 40:10 | 53 |
| ზესტაფონი | 21 | 16 | 3 | 2 | 45:11 | 51 |
| ამერი | 21 | 12 | 2 | 7 | 37:23 | 38 |
| ოლიმპი | 21 | 11 | 4 | 6 | 19:15 | 37 |
| მესხეთი | 21 | 9 | 4 | 8 | 23:23 | 31 |
| ბორჯომი | 21 | 8 | 4 | 9 | 25:26 | 28 |
| მგლები | 21 | 8 | 3 | 10 | 21:22 | 27 |
| სიონი | 21 | 6 | 5 | 10 | 22:30 | 23 |
| ლოკომოტივი | 21 | 4 | 5 | 12 | 14:26 | 17 |
| სპარტაკი | 21 | 4 | 5 | 12 | 8:23 | 17 |
| მერანი | 21 | 5 | 1 | 15 | 11:39 | 16 |
| ბათუმი | 21 | 4 | 3 | 14 | 12:37 | 15 |
| დილა | 21 | 1 | 5 | 15 | 8:43 | 8 |



# ფრთხილად, ფსიქოპატი ჩასაფრებულია!



სტივენ ჯერარდი ცოლ-შვილთან ერთად

**აბა, თუ გამოიცნობთ, რა შეიძლება აკავშირებდეთ ფეხბურთის ვარსკვლავ სტივენ ჯერარდსა და ლივერპულელ განგსტერ ჯორჯ ბრომლი-უმცროსს, მეტსახელად ფსიქოპატს. არ ინვალოთ, ვერ მიხვდებით: ამ ორ მამაკაცს შორის ქალი დგას, ლორენ ეშკროფტი, რომელმაც The News of the World-ს უამბო, თუ როგორ ემუქრებოდა ეჭვიანობით გაცოფებული ბანდიტი მერსისაიდელთა კაპიტანს...**



ჯონ კინსელას იშვიათი ფოტო, რომელიც სასამართლოზე პაპარაცებმა გადაიღეს



ლორენ ეშკროფტი

## სტივი ჯის შვიდწლიანი კოშმარი და ლორენი

**ვნებათაღელვა,** ჯერარდმა გამოიწვია, რადგან ლორენ ეშკროფტი ჯერ მისი გოგო იყო, ფსიქოპატთან კი მასთან განშორების შემდეგ გადაბარგდა, მაგრამ გაირკვა, რომ სტივი ყოფილ საყვარელთან ფლირტს განაგრძობდა. მეორე მხრივ, როდესაც ფსიქოპატი ეჭვიანობის ნიადაგზე გადაირია, უკვე თავადაც იყო დაშორებული ლორენთან. მოკლედ, მოდი და გაიგე...

ერთი სიტყვით, ფსიქოპატმა ფლირტის ამბავი გაიგო და ჯერარდი ისე დააშინა, რომ ფეხბურთელს დაცვის დაქირავება დაჭირდა, ამ ათი დღის წინ კი საქმემ სასამართლომდეც მიაღწია. აი, 22 წლის ლორენი კი ამბობს, რომ ორი მამაკაცის ახლა უკვე საქვეყნოდ გახმაურებულმა მტრობამ მას ლამის ცხოვრება დაულეწა.

„ბრალი არაფერში მიმიძღვის, არადა ყველაფერი ჩემთვის ცუდად მიდის. აი, გუშინაც მითხრა ერთმა, ველარ გამიგია, განგსტერის ხასა ხარ თუ ფეხბურთელის ნაშაო — ყვება დაძაბულობის მიზეზი — არც ერთი მინდა ვიყო და არც მეორე. არც ვინმეს ეჭვიანობაზე ვარ პასუხისმგებელი".

ჯარარდი რომ გაიცნო, ლორენი მხოლოდ და მხოლოდ 15 წლისა იყო, მაგრამ მერე, საყმაწვილო სასიყვარულო თავგადასავალი დასრულდა და ქალ-ვაჟიც, თითქოს, ჩვეულებრივ უნდა დაშორებოდა ერთმანეთს, ისე, როგორც ეს მთელ მსოფლიოში ხდება, მაგრამ ვაგლახ, ფეხბურთელი არ შეეშვა. მერე კი მოხდა ის, რაც გითხარით, ქალმა ფსიქოპატი გაიცნო, ფსიქოპატი კი ეჭვიანობას მიეცა. ასე გახდა ახალგაზრდა ლივერპულელი და, ალბათ, მოჩურჩუტო გოგო მერსისაიდელი ფანების სიძულვილის ობიექტი. იმაში, რომ განგსტერი მათ კერპს სდევნიდა, ისინი ლორენს სდებდნენ ბრალს.

და კიდევ, The News of the World-ისთვის მიცემულ ინტერვიუში ლორენ ეშკროფტმა ჯერარდის ცოლს, ალექს კარანსაც გაჰკრა კბილი, ვარსკვლავურ-გაპრანჭული ცხოვრებით ტკბობას უჯობს შინ დარჩეს და ქმარს მოუაროსო.

მაშ ასე, ყველაფერი 2001 წელს დაიწყო, როდესაც ლორენმა 19 წლის სტივენ ჯერარდს თავი დაანება და 19 წლისავე ფსიქოპატს დაუკავშირდა. ფსიქოპატის განგსტერი მამა, ბრომლი-უფროსი 2003 წელს „რაზბორკისას" მოკლეს და ვაჟი ბანდაში უმამოდ დარჩა. აღსანიშნავია, რომ თავად ფსიქოპატი, ანუ ბრომლი-უმცროსი ამჟამად ნარკოტიკებთან დაკავშირებული საქმეებისთვის ციხეში ზის, მისი ბანდა კი განსაკუთრებული სისასტიკით გახლდათ ცნობილი, კონკურენტებს ცხელ უთოსაც კი ადებდნენ.

ლორენი, რომელიც დღეს საავადმყოფოში მუშაობს: „მე და სტივი განშორების შემდეგაც მეგობრებად დავრჩით. ის ხანდახან მირეკავდა და ჩაიზე მპატიჟებდა. ისე, არ გამოვრიცხავ, რომ ჩემთან სასიყვარულო ურთიერთობის აღდგენასაც აპირებდა".

მაგრამ, აი, ფსიქოპატმა, რომელიც, როგორც მოგახსენეთ, იმ დროისთვის თავადაც დაშორდა ლორენს, ეს ამბავი გაიგო და გაცოფდა — ალბათ, დაშორებით კი დაშორდა, მაგრამ გულში მისი დაბრუნების იმედი მაინც ულიტინებდა.

ეჭვიანობის პირველი სცენა ასეთი გახლდათ: 2001 წლის ნოემბერში ჯერარდის BMW X5-ს აგური მოხვდა და შუშა ჩაუტყდა. ფეხბურთელს ძალიან შეეშინდა.

ლორენი: „ეს იყო და ეს, ჩემი და სტივენის მეგობრობა აღარ გაგრძელებულა, რაც ძალიან განვიცადე, რადგან მე და ის ჩინებულად ვმეგობრობდით".

ფსიქოპატმა კი გულში ეჭვი ერთხელ რომ ჩაიდო, ველარ დამშვიდდა. ჯერ იყო და, ჯორჯ ბრომლი-უმცროსი ფეხბურთელს მუხლების ჩალეწვით ემუქრებოდა, შემდეგ შეუთვალა, გამოდი, მუშტებით მეჩხუბეო, ბოლოს კი მისი სახლის წინ დაიწყო ტორღიალი.

ხანი რომ გავიდა და ჩამოთვლილ მეთოდთაგან არცერთმა არ გაჭრა, ფსიქოპატმა ჯერარდის ახალ გელფრენდს, ალექსს დაუწყო დამუქრება. ამან „ლივერპულის" კაპიტანი საერთოდ გადარია და თავდაცვის მიზნით, მან კროსბიში მდებარე 3-მილიონგირვანქიან ვილას ჯერ მაღალი გალავანი შემოარტყა, შემდეგ კი 12 სათვალთვალო კამერა დააყენა.

დაძაბულობა მას მერე შენელდა, რაც ჯერარდის მამამ, პოლმა საქმეში 43 წლის განგსტერი ჯონ კინსელა ჩართო. კინსელამ ფსიქოპატისა და ვარსკვლავის ურთიერთობა დაარეგულირა, რაც სულ ახლახან გახდა ცნობილი — ჯონ კინსელა დაპატიმრებულია. მის საქმეს ლინკოლნის სასამართლო იხილავს და სწორედ ამ სასამართლო პროცესის მსვლელობისას ამოტივტივდა პოლ ჯერარდის მონაწილეობის ამბავი.

ლორენი: „არ ვიცოდი, ჯერარდებს საქმეში განგსტერები თუ ჰყავდათ ჩარეული. ალბათ, ამ სამარცხვინო ამბის გახმაურება არც სტივის უნდოდა და არც ალექსს. ჩემს ქმარზე რომ იყოს ლაპარაკი, ძალიან მეწყინებოდა, საქმეს განგსტერების გარეშე რომ ვერ გავართვით თავი".

შემდეგ კი, ლორენი „ლივერპულის" კაპიტნის ცოლს მოდგა:

„სტივი სულაც აღარ არის დროსმტარებელი ბოჰემური ტიპი. ასეთი სიყმაწვილეში იყო, ახლა კი გამოცვლილია. მე რომ მისი ცოლი ვიყო, ვარკვლავური ცხოვრებით არ ვიცხოვრებდი. სტივის ოჯახი სჭირდება, სიმყუდროვე და სტაბილურობა. ბავშვებთან მჯდომი დედა და ცოლი ვიქნებოდი".

ლორენი იგონებს, რომ მისი და სტივის სიყვარულის პერიოდში ფეხბურთელი როგორც კი მოიცლიდა, მის სამსახურში გარბოდა, რათა მასთან რაც შეიძლება მეტი დრო გაეტარებინა.

„კვირაში სამჯერ ვმუშაობდი, პლუს შაბათკვირები. სტივი ყოველდღე მოდიოდა და იქ მეჯდა. თავი დიდი ვარსკვლავის გოგოდ არასდროს მიგრძვნია. მისთვის ერთხელაც არ შემიხედავს, როგორც მდიდარი და ცნობილი კაცისთვის და, სხვათა შორის, ის თავადაც არასდროს მოქცეულა ასე. მაგრამ მოხდა ისე, რომ ის ფეხბურთის გამო სულ მეტად და მეტად იყო დაკავებული, მე კი ჯერ სკოლაში ვსწავლობდი და ვიფიქრეთ, მეგობრებად დარჩენა აჯობებდა. აი, ამის შემდეგ დაიწყო ბანდიტური ისტორია, რომელიც ნეტავ არასდროს მომხდარიყო".

**პაპუნა ძიძია**

## გერმანია

ბუნდესლიგა. XXIX ტური

**შალკე 5:0 კოტბუსი**

1:0 და სილვა (31ს.კ.), 2:0, 3:0, 4:0, 5:0 კურანი (37, 41, 59, 80)

**შალკე:** ნოიერი, რაფინია, ვესტერმანი, ბორდონი, პანდერი, ჯონსი (გროსმიულერი 88), ფ. ერნსტი, ა. შტრაიტი (ასამოა 76), ჰალილ ალტინტოპი, სანჩესი, კურანი (ლარსენი 85)

მწვრთნელი: მიხაელ ბიუსკენსი

**კოტბუსი:** ტრემელი, და სილვა, ი. მიტრესკი (რადელიჩი 46), ცვიტანოვიჩი, ციბიგი, ბასილა (ვასილიევიჩი 70), ს. ანგელოვი, ტ. როსტი, რივიჩი (ბ. იელიჩი 60), შკელა, დ. სორენსენი

მწვრთნელი: ბოიან პრაშნიკარი

გაფრთხილება: ბასილა, სორენსენი

მსაჯი: შმიდტი

60 018 მაყურებელი

**ჰანზა 1:2 ვერდერი**

0:1 ფლინგსი (57), 1:1 ჰენგე (76), 1:2 კლასნიჩი (82)

**ჰანზა:** ვეხტერი, სებასტიანი, ორესტესი, გლედსონი, მ. შტაინი, ბარტელსი, ბიულოვი, რატგები, რანი (პირსი 60), კერნი (ცეტკოვიჩი 73), მენგა (ჰენგე 73)

მწვრთნელი: ფრანკ პაგელსდორფი

**ვერდერი:** ვიზე, კ. ფრიცი, მერტეზაკერი, ნალდო, პასანენი (ოვომოიელა 73), ბაუმანი, ფრინგსი (ვრანიეში 84), ბოროვსკი, დიეგო (ჰანტი 73), კლასნიჩი, სანოგო

მწვრთნელი: თომას შააფი

გაფრთხილება: მერტეზაკერი, ჰანტი

მსაჯი: დრეესი

22 000 მაყურებელი

**ჰერტა 0:0 ჰამბურგი**

**ჰერტა:** დრობნი, ჩაჰედი, ა. ფრიდრიხი, შიმუნიჩი, სკაჩელი, ლუსტენბერგერი (დარდაი 69), კაჩარი, მინეირო, პიშჩეკი (ედე 85), ებერტი (ბიელერი 76), ანდრე ლიმა

მწვრთნელი: ლუსიენ ფავრი

**ჰამბურგი:** ფ. როსტი, ბენჯამინი, ბ. რაინჰარდტი, მატიისენი, ჟ. ბოატენგი (ბრეცკო 55), დე იონგი, დემელი, ტროხოვსკი, სორინი (ბენ-ჰატირა 18), ზიდანი, ოლიჩი (გერერო 76)

მწვრთნელი: ჰუუბ სტევენსი

გაფრთხილება: შიმუნიჩი, ბიელერი

მსაჯი: შიპელი

40 289 მაყურებელი

**ვოლფსბურგი 0:1 ბოხუმი**

0:1 შესტაკი (88)

**ვოლფსბურგი:** ბენალიო, ბაიერი, რიკარდუ კოშტა, შიმუნეკი, მ. შეფერი (ნიანგი 71), გენტნერი, ჟოსუე, მარსელინიო (კრჟინოვეკი 71), ჰასებე, ძეკო, დეჯაგა

მწვრთნელი: ფელიქს მაგათი

**ბოხუმი:** რენო, კონჩა, მალტრიცი, იაია, მაიხელბეკი, ო. შრიოდერი, იმჰოფი, აზაუაგი (დრშეკი 79), შესტაკი, მაისელი (აუერი 72), ბიელიკი (ბეხმანი 62)

მწვრთნელი: მარსელ კოლერი

გაფრთხილება: დეჯაგა, ბიელიკი, რიკარდუ კოშტა, ძეკო, მარსელინიო, ჟოსუე

მსაჯი: გაგელმანი

19 000 მაყურებელი

*ტურის დანარჩენი მატჩები წუხელ გვიან დამთავრდა და მათი შედეგები ცხრილში შეტანილი არაა (იხ. მე-2 გვერდზე)*

# კურანიმ ტრემელს ოთხით მუშტი მოუგო



„ხუმარების" შეფი ანდრეას მიულერი კევინ კურანის პოკერს ულოცავს

**კევინ კურანიმ** „კოტბუსის" კარში გოლების გატანა მაშინღა შეწყვიტა, როცა მეკარე გერჰარდ ტრემელმა ცხვირში მუშტი უთავაზა.

მირკო სლომკას შემცვლელებს საუცხოო დებიუტი გამოუვიდათ, თუმც „კოტბუსი" არაა ის გუნდი, რომლის დამარცხებითაც მათი შრომა შეფასდება.

ორ მწვრთნელს შორის როლები კი ასე განაწილდა — მიხაელ ბიუსკენსი მთავარი იქნება, ხოლო იური მიულდერი — თანაშემწე.

„შალკემ" იმდენი გაუტანა მეტოქეს, რამდენიც შაბათს „ვერდერისგან" გაუშვა და ამით საკუთარ გულშემატკივართან ანგარიში გაასწორა.

„კოტბუსის" რბევა კი თავად სტუმარმა, და სილვამ დაიწყო: ბორდონის ნათავურალი ბურთის კარის ხაზიდან გამოტანა სცადა და გოლი გამოუვიდა.

და სილვას საქმე კევინ კურანიმ გააგრძელა და ათ წუთში დუბლი შეასრულა: ჯერ მეურვეს დაასწრო და ორი მეტრიდან შეაგდო, მერე კი სამმა მცველმა ლამის ხალიჩა გაუფინა და კევირმაც საჯარიმოს ხაზიდან ბურთი კარში შეაბზრიალა.

მირკო სლომკას მოხსნამ გაახარა თუ რამ გადარია, კურანი ორი გოლით ვერ დანაყრდა და ამდენივე მეორე ტაიმშიც მიითვალა: მეკარესთან პირისპირ გასულმა დაბალ კუთხეში გაიტანა, ხოლო მოგვიანებით თავით შეჭედა ბურთი კარში. ამ ეპიზოდში გერჰარდ ტრემელი კარიდან მუშტით გამოვარდა და როცა კურანიმ ბურთს თავი დაჰკრა, იმავ წამს მისი ცხვირი ტრემელის მუშტს დაეჯახა.

მოწყვეტით ძირს დაცემული ფორვარდის საშველად მოედანზე ექიმები შეცვივდნენ და მეკარისგან ნაცემი გონს მოიყვანეს.

ამის მერე კი დაშოშმინდა ოთხი გოლის ავტორი და ოთხ წუთში კიდეც შეცვალეს.

„შალკემ" მოიგო, მაგრამ „ვერდერმაც" იმარჯვა — ზედიზედ მესამედ — და მეორე ადგილი შეინარჩუნა. ისევე, როგორც წინა ტურში, ივან კლასნიჩმა იყოჩაღა და როსტოკში თამაშის დასრულებამდე ათი წუთით ადრე სტუმრებს სამი ქულა მოუტანა. შეგახსენებთ, რომ კლასნიჩმა გასულ შაბათს „შალკესთან" დუბლი შეასრულა.

„ვერდერი" ტორსტენ ფრინგსმა 25 მეტრიდან გატანილით დააწინაურა და ეს იყო მისი პირველი გოლი ამ ტრავმიან სეზონში.

შეცვლაზე შესულმა ჰანზელმა სებასტიან ჰანგემ მოედანზე ფეხის დადგმიდან სამ წუთში გაათანაბრა, მაგრამ ბოლოს, ფრინგსის წაქცევისთვის მასპინძელთა კარში პენალტი დანიშნეს.

თერთმეტი მეტრიდან ნალდოს დარტყმული მეკარემ მოიგერია, კლასნიჩმა კი დაამატა და მიჯრით ორ ტურში მესამე გოლი გაიფორმა.

„ბოხუმს" ვოლფსბურგში ბოლო ათი წლის განმავლობაში არ მოეგო და სამშაბათს ნავსი გატეხა, თან „მგლების" ხუთმატჩიანი წაუგებელი სერია შეწყვიტა. სტანისლავ შესტაკმა მეკარე დიეგო ბენალიოს ფეხებშუა გაუძვრინა ბურთი და რაკი ეს მატჩის ბოლოს მოხდა, მასპინძლებს გასათანაბრებლად ალ-არც ჯანი ჰქონდათ და ალარც დრო. „ბოხუმისთვის" ეს პირველი გამარჯვება გახლდათ 2 მარტის შემდეგ.

„ჰერტამ" შვიდამდე, „ჰამბურგმა" კი ხუთამდე გაზარდა მოუგებელ მატჩთა სერია, მას შემდეგ, რაც გუნდები ბერლინში უგოლოდ დაზავდნენ.

მასპინძელ პიშჩეკს მსაჯმა მეორე ტაიმში ალალმართალი გოლი თამაშგარე მდგომარეობის მომიზეზებით არ ჩაუთვალა, 75-ე წუთზე კი „ჰერტას" კარში საეჭვო პენალტი დანიშნა და ივიცა ოლიჩმა ბურთი ტრიბუნას უსახსოვრა.

ზედიზედ სამი ტურია, „ჰამბურგს" გოლი არ გაუტანია.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 28 | 17 | 9 | 2 | 52:16 | 60 |
| ვერდერი | 29 | 16 | 5 | 8 | 62:41 | 53 |
| შალკე | 29 | 14 | 9 | 6 | 47:31 | 51 |
| ჰამბურგი | 29 | 12 | 12 | 5 | 37:21 | 48 |
| ლევერკუზენი | 28 | 14 | 5 | 9 | 50:30 | 47 |
| შტუტგარტი | 28 | 14 | 3 | 11 | 45:43 | 45 |
| ვოლფსბურგი | 28 | 12 | 7 | 9 | 45:39 | 43 |
| აინტრახტი | 28 | 11 | 9 | 8 | 34:36 | 42 |
| კარლსრუე | 28 | 10 | 8 | 10 | 31:36 | 38 |
| ჰანოვერი | 28 | 10 | 8 | 10 | 40:46 | 38 |
| ბოხუმი | 29 | 9 | 10 | 10 | 43:45 | 37 |
| ჰერტა | 29 | 9 | 7 | 13 | 30:36 | 34 |
| დორტმუნდი | 28 | 9 | 7 | 12 | 41:50 | 34 |
| კოტბუსი | 29 | 7 | 8 | 14 | 30:48 | 29 |
| ჰანზა | 29 | 7 | 6 | 16 | 25:41 | 27 |
| დუისბურგი | 28 | 7 | 4 | 17 | 28:42 | 25 |
| არმინია | 28 | 6 | 7 | 15 | 26:52 | 25 |
| ნიურნბერგი | 27 | 5 | 8 | 14 | 30:43 | 23 |

II ბუნდესლიგა

XXIX ტური

**კიოლნი 2:0 ოსნაბრიუკი**

**ლაუტერნი 2:0 აუგსბურგი**

**მაინცი 6:1 პადერბორნი**

*ტურის დანარჩენი მატჩები წუხელ გვიან დამთავრდა და მათი შედეგები ცხრილში შეტანილი არაა (იხ. მე-2 გვერდზე)*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გლადბახი | 28 | 15 | 10 | 3 | 52:28 | 55 |
| კიოლნი | 29 | 14 | 8 | 7 | 51:36 | 50 |
| ჰოფენჰაიმი | 28 | 14 | 8 | 6 | 44:32 | 50 |
| მაინცი | 29 | 13 | 10 | 6 | 53:30 | 49 |
| ფრაიბურგი | 28 | 12 | 10 | 6 | 38:34 | 46 |
| ფიურტი | 28 | 12 | 8 | 8 | 45:35 | 44 |
| ალემანია | 28 | 10 | 9 | 9 | 40:39 | 39 |
| ვეჰენი | 28 | 9 | 10 | 9 | 41:44 | 37 |
| კობლენცი | 28 | 9 | 10 | 9 | 33:36 | 37 |
| ზანკტ პაული | 28 | 9 | 9 | 10 | 39:40 | 36 |
| მიუნხენი | 28 | 8 | 11 | 9 | 35:34 | 35 |
| აუგსბურგი | 29 | 9 | 7 | 13 | 34:41 | 34 |
| ოფენბახი | 28 | 8 | 10 | 10 | 33:45 | 34 |
| ოსნაბრიუკი | 29 | 9 | 7 | 13 | 37:50 | 34 |
| ლაუტერნი | 29 | 6 | 11 | 12 | 27:32 | 29 |
| აუე | 28 | 6 | 8 | 14 | 36:46 | 26 |
| კარლ ცაისი | 28 | 6 | 7 | 15 | 39:52 | 25 |
| პადერბორნი | 29 | 4 | 11 | 14 | 23:46 | 23 |

# ნოველინო გაუშვეს
## დე ბიაზის მესამედ მოსვლა

**ვალტერ ნოველინო** „ტორინოს" მწვრთნელი აღარ არის. „სამპდორიას" ექსთავკაცი გუშინ პოსტიდან დაითხოვეს და გუშინვე გადაწყდა, რომ ტურინელთა მწვრთნელად ჯანი დე ბიაზი დაბრუნდება.



გასულ უქმეებზე „ტორინომ" „ჯენოასთან" 0:3 წააგო და გასავარდნ ზონასთან ოდენ 4 ქულა აშორებს. ამ მარცხის მერე, სამშაბათის ვარჯიშისას ტურინელი ფანების გარკვეულმა ნაწილმა კლუბსა და ნოველინოს პროსტესტი გამოუცხადა. მიუხედავად ამისა, „ტოროს" პრეზიდენტმა ურბანო კაირომ კატეგორიულად გამორიცხა ნოველინოს გაშვების შესაძლებლობა და მას სრული თანადგომა აღუთქვა, მაგრამ მეორე დღეს...

„ბანკში ვიყავი; როცა დამირეკეს და მოხსნის ამბავი მითხრეს. ჯერ არავისთან მილაპარაკია და არც კომენტარების გაკეთება მინდა. ეს საშინელი მომენტია და ახლა საუბარი არ მსურს. ყველაფერი მესმის, მაგრამ დაწვრილებით რამდენიმე დღეში ვისაუბროთ" — განუცხადა ნოველინომ „კალჩომერკატოს" ჟურნალისტს.

51 წლის ჯანი დე ბიაზი, რომლისთვისაც ეს „ტორინოში" მესამედ მოსვლაა, გუნდიდან გასულ ზაფხულს მოულოდნელად გაუშვეს. გუშინდლამდე ჯანი პრიმერადივიზიონის უპირობო აუტსაიდერის, „ლევანტეს" მწვრთნელი გახლდათ.

| 15490 | სუნდსვალი-კალმარი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15491 | გაის-გიოტებორგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16010 | ევერტონი-ჩელსი | 2.40 | 1.45 |
| 16184 | მიუნხენი 1860-ვეენი | 1.40 | 2.55 |
| 16223 | აარაუ-ქსამაქსი | 1.30 | 3.00 |
| 16224 | ციურიხი-იანგ ბოიზი | 1.65 | 2.05 |
| 16488 | ჰამარბი-ჰელსინგბორგი | 1.70 | 1.95 |
| 16489 | ლიუნგსკილე-ელფსბორგი | 3.60 | 1.23 |
| 16490 | სუნდსვალი-კალმარი | 2.20 | 1.50 |
| 16491 | გაის-გიოტებორგი | 2.45 | 1.40 |

### გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17010 | ევერტონი-ჩელსი | 1.85 | 1.95 |
| 17184 | მიუნხენი 1860-ვეენი | 1.85 | 1.95 |
| 17223 | აარაუ-ქსამაქსი | 1.85 | 1.95 |
| 17224 | ციურიხი-იანგ ბოიზი | 1.85 | 1.95 |
| 17488 | ჰამარბი-ჰელსინგბორგი | 1.85 | 1.95 |
| 17489 | ლიუნგსკილე-ელფსბორგი | 1.85 | 1.95 |
| 17490 | სუნდსვალი-კალმარი | 1.85 | 1.95 |
| 17491 | გაის-გიოტებორგი | 1.85 | 1.95 |

კროკოს პეკინის ფილიალი გადავიდა
ახალ მისამართზე: გამსახურდიას 33ა

# არის მწვრთნელი, ისევ უცხოელი!


ლაშა ძიძავა

*საქართველოს კალათბურთის ფედერაციამ, როგორც იქნა, მოუძებნა ნაკრებს თავკაცი და ის გახლავთ „დეტროიტ პისტონსის“ მწვრთნელის, ცნობილი ფლიპ სონდერსის სერბი ასისტენტი იგორ კოკოშკოვი. ამ ახალგაზრდა სპეციალისტის საკმაოდ მდიდარ დოსიეს ცალკე გაეცნობით, აქ კი კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ* **ლაშა ძიძავას** *მოვუსმინოთ, რომელიც კოკოშკოვთან მოლაპარაკებების მიმდინარეობასა და დეტალებზე საუბრობს...*

— იგორ კოკოშკოვთან კარგა ხნის მანძილზე ვაწარმოებდით მოლაპარაკებას. მიმდინარეობდა პირობების შეჯერება, ნიუანსების დაზუსტება და ყველაფერს წერტილი 11 აპრილს კონტრაქტის გაფორმებით დაესვა. დღეს კი საქართველოს კალათბურთის ფედერაციის გამგეობამ კოკოშკოვი ოფიციალურად დანიშნა ნაკრების მწვრთნელად და ჩვენც უკვე მზად ვართ, ყველა კითხვაზე გიპასუხოთ.

**— რატომ კოკოშკოვი?**

— მოლაპარაკებას ვაწარმოებდით არაერთ ცნობილ მწვრთნელთან: ვალდის ვალტერსთან, ტომო მაჰორიჩთან, საშა ფილიპოვსკისთან, არიკ შაველთან, კენი ატკინსონთან, კესტუკის კემზურასთან, თუმც საბოლოოდ ზოგს რაზე ვერ შევუთანხმდით და ზოგს რაზე. შევარჩიეთ იგორ კოკოშკოვი, რომელიც საკმაოდ ახალგაზრდა და ამავდროულად გამოცდილი მწვრთნელია. ის გახლდათ ცნობილი ჟელკო ობრადოვიჩის თანაშემწე სერბეთ-ჩერნოგორიის ნაკრებში და მონაწილეობა მიუღია ათენის ოლიმპიადასა და 2005 წლის ევროპის ჩემპიონატზე. ამჟამად მუშაობს „დეტროიტ პისტონსში“ ფლიპ სონდერსის ასისტენტად და არის ნბა-ს ერთადერთი ევროპელი მწვრთნელი. მას აქვს როგორც ევროპული საკლუბო-სანაკრებო, ასევე ნბა-ში მუშაობის გამოცდილება. ეს ძალიან დიდი პლუსია ჩვენთვის.

**— მოლაპარაკებები კარგა ხანს გაგრძელდაო და რა იყო ყველაზე რთულად შესათანხმებელი?**

— სანამ პირობების შეთანხმებაზე გადავიდოდით, კოკოშკოვთან ხანგრძლივი საუბრები გვქონდა. ჩვენ გვინდოდა მისი ხედვა შეგვეფასებინა, თუ რისი მიღწევა სურდა ჩვენს ნაკრებთან ერთად. იყო ლაპარაკი ფსიქოლოგიურ მომენტებზე, შემადგენლობასა და შეკრებებზე.

**— იცნობს კოკოშკოვი ქართველ მოთამაშეებს?**

— 2000 წლიდან ის ნბა-ში მუშაობს და შესაბამისად, იმ სამივე ქართველის შესახებ ჰქონდა ინფორმაცია, რომლებსაც იქ უთამაშიათ. ის ასევე აქტიურ მონაწილეობას იღებდა ევროპაში გამართულ ნბა-ს კემპებში და კარგად იცნობს ვიქტორ სანიკიძეს, მანუჩარ მარკოიშვილს. კოკოშკომა იცის ვლადიმერ ბოისას შესახებაც. ერთი სიტყვით, ჩვენი ნაკრების ძირითადი ბირთვი მისთვის უცხო არაა.

**— როდის ჩამოვა ის საქართველოში და როგორ შეარჩევს ნაკრებისთვის კანდიდატებს?**

— ჩვენ მას გავუგზავნეთ ეროვნული ნაკრების ბოლო ორი წლის თამაშები, ასევე გავუგზავნით საქართველოს ჩემპიონატის პლეი ოფის ფირებს. კოკოშკოვის მოთხოვნაა, რომ ერთ-ერთი თანაშემწე ქართველი ჰყავდეს, რომელიც ამომწურავ ინფორმაციას მიაწვდის ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე კალათბურთელებზე. კოკოშკოვი თბილისში ვერ ჩამოვა მანამ, სანამ „დეტროიტ პისტონსი“ ნბა-ში თამაშს არ დაასრულებს. სამაგიეროდ, ჩვენ არ შეგვექმნება პრობლემები იმასთან დაკავშირებით, რომ მთავარი მწვრთნელი ნაკრებს რომ შეუერთდება, მუდმივად მასთან იყოს. ივლისს, აგვისტოს და სექტემბერს კოკოშკოვი მთლიანად საქართველოს ნაკრებს დაუთმობს. ამ პერიოდში საქართველოს ნაკრებში მუშაობის უფლება მან პირადად „დეტროიტის“ გენერალური მენეჯერისგან, ჯო დუმარსისგან მიიღო.

**— როდის შეიკრიბება საქართველოს ნაკრები სრულად და რა მოსამზადებელ ტურნირებში მიიღებს მონაწილეობას?**

— სრულად შეკრების თარიღს ზუსტად ვერ ვიტყვით, რადგან ეს თავად მოთამაშეებზეა დამოკიდებული. ზოგი ადრე ჩამოდის, ზოგსაც საკონტრაქტო საქმეები აქვს მოსაგვარებელი. ვფიქრობთ, ივლისის ბოლოსთვის ნაკრებში ყველა ძირითადი კანდიდატი უნდა იყოს თავმოყრილი. რაც შეეხება მოსამზადებელ მატჩებს, ნაწილზე შევთანხმდით, ნაწილზე კი კვლავაც მიმდინარეობს მოლაპარაკებები. უკვე გადაწყვეტილია, რომ 15-16 აგვისტოს ჩვენი ნაკრები ორ ამხანაგურ მატჩს გამართავს უკრაინის ეროვნულ გუნდთან, ხოლო 25-27 აგვისტოს რიგის საერთაშორისო ტურნირში მიიღებს მონაწილეობას, სადაც ჩვენი მეტოქეები იქნებიან ლატვიის, საფრანგეთისა და ჩეხეთის ნაკრებები.

**— რამდენწლიანია კოკოშკოვის კონტრაქტი და რამდენი ექნება მას ხელფასი?**

— ხელშეკრულება 2+2-წლიანია. ანუ კონტრაქტის გაგრძელება საკვალიფიკაციო ეტაპზე ნაჩვენები შედეგის გათვალისწინებით მოხდება. ჩვენი მიზანი და მოთხოვნა კი A დივიზიონში ანაცვლებაა. რაც შეეხება ხელფასს, კონფიდენციალურია, თუმც გეტყვით, რომ დაახლოებით იმდენია, რამდენიც გორდონ ჰერბერტს ჰქონდა (ჰერბერტის ხელფასი ერთ ციკლზე 60 ათასს შეადგენდა).

**ირაკლი პერტაია**



## იგორ კოკოშკოვი

დაიბადა 1971 წლის 17 დეკემბერს ბელგრადში (იუგოსლავია)
1993 წელს დაამთავრა ბელგრადის უნივერსიტეტი

### საკლუბო კარიერა

1992-1994 — „ბკ ბელგრადის“ ახალგაზრდული გუნდის მთავარი მწვრთნელი

1994-1995 — „ბკ ბელგრადის“ მთავარი მწვრთნელის ასისტენტი

1995-1996 — „ბკ ბელგრადის“ მთავარი მწვრთნელი. 24 წლისა გახდა იუგოსლავიის კალათბურთის ისტორიაში უმაღლესი ლიგის გუნდის ყველაზე ახალგაზრდა მთავარი მწვრთნელი.

1996-1997 — ბელგრადის „პარტიზანის“ ახალგაზრდული გუნდის მწვრთნელი

1999-2000 — მისურის უნივერსიტეტის (აშშ-ს უმაღლესი სტუდენტური დივიზიონი) მთავარი მწვრთნელის ასისტენტი. პირველი ევროპელი, რომელმაც დაიკავა აშშ-ს უმაღლესი სტუდენტური დივიზიონის გუნდის მთავარი მწვრთნელის ასისტენტის თანამდებობა.

2000-2003 — „ლოს ანჯელეს კლიპერსის“ (ნბა) მთავარი მწვრთნელის ასისტენტი. პირველი ევროპელი, რომელმაც დაიკავა ნბა-ს კლუბის მთავარი მწვრთნელის ასისტენტის თანამდებობა.

2003-დღემდე — „დეტროიტ პისტონზის“ (ნბა) მთავარი მწვრთნელის ასისტენტი.

### სანაკრებო კარიერა

1997-1999 — იუგოსლავიის ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელის ასისტენტი.

2004 — სერბეთ-ჩერნოგორიის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის ასისტენტი ათენის ოლიმპიურ თამაშებზე.

2005 — სერბეთ-ჩერნოგორიის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის ასისტენტი ევროპის ჩემპიონატზე.

# საქართველოს ჩემპიონატი
## სუპერლიგა. XXVI ტური

16 აპრილი. რუსთავი

**თსუ 74:77 დინამო**
*17:25 15:20 20:16 22:16*

**თსუ:** არწივიძე, ფანჩულიძე (9), კეიდია (17), ბარბაქაძე (14 ქულა, 11 მოხსნა), ტყეშელაშვილი (5); ხეცურიანი (14), დ. ბერიშვილი (8), კოხრეიზე (4), ბ. ნოზაძე (1)

**დინამო:** სიგუა (3), გულისაბედაშვილი (4), დ. მაისურაძე, სანიკიძე (23 ქულა, 13 მოხსნა), ათანელიშვილი (26); ლაფანაშვილი (9), ჟღენტი (6), ახალკაცი (6), ფაიქრიძე

*მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი*
*კომისარი: როლანდ გელოვანი*

**ავიამშენი 111:84 მაკაბი**
*31:12 29:15 26:26 25:31*

**ავიამშენი:** ტულუში (13), მინაშვილი (52), ნინიაშვილი (2) იმნაძე (13 ქულა, 13 მოხსნა), მათიაშვილი (7); კვიმსაძე (20 ქულა, 11 პასი), ბერაია (4), მოსეშვილი, სუხიშვილი

**მაკაბი:** ახმედიანი (8), კორკოტაძე (11), კოლუაშვილი (21), პირველაშვილი (1), შერმადინი (29 ქულა, 19 მოხსნა); იოსელიანი (12), გაგლოშვილი (1), ჯანგველაძე

*მსაჯები: დავიტ ბერეკაშვილი, ხათუნა გაბედავა*
*კომისარი: როლანდ გელოვანი*

**ენერჯი 84:75 ვითა**
*22:15 26:26 15:19 21:15*

**ენერჯი:** გამყრელიძე (25), ლეჟავა (6) გოგობერიშვილი (4), ბაბიაშვილი (14), სტეფანოვი (12 ქულა, 15 მოხსნა); ჭოჭუა (8), ჩიტაშვილი (6), დიდია (5), ტუჯანი (4 ქულა, 12 მოხსნა)

**ვითა:** მარხვაშვილი, წივწივაძე (13), მ. ბერიშვილი (2), ლ. ნოზაძე, გვიმრაძე (6); ბერძენიშვილი (22), ბეჟანიშვილი (20), მარკოიშვილი (9), ნ. ნოზაძე (3), ძიძიგური

*მსაჯები: მაკა კუპატაძე, ზაზა მაჩალაძე*
*კომისარი: თენგიზ ქიქოძე*

### სატურნირო ვითარება

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ენერჯი | 26 | 21 | 5 | 47 |
| ავიამშენი | 26 | 16 | 10 | 42 |
| თსუ | 26 | 13 | 13 | 39 |
| ვითა | 26 | 13 | 13 | 39 |
| დინამო | 26 | 11 | 15 | 37 |
| მაკაბი | 26 | 4 | 22 | 30 |

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# პირველად იყო ლეიკერსი დასავლეთი კობისაა

15 აპრილი

**ატლანტა 105:121 ორლანდო**

**ატლანტა:** ბიბი (9), ჯონსონი (10), უილიამსი (16), სმიტი (10), ჰორფორდი (8 ქულა, 11 მოხსნა); სტუდემაიერი (16), ჩილდრესი (15), ლოუ (11), **ფაჩულია** (19 წუთი, 8 ქულა, 5 პასი, 4 მოხსნა, 1 დაფარება), რიჩარდსონი (2), ვესტი, ჯონსი

**ორლანდო:** ნელსონი (14), ევანსი (27), თურქოღლუ (17), ლუისი (12), ჰოვარდი (15 ქულა, 13 მოხსნა); დულინგი (11), რედიკი (11), ფოილი (4), აროიო (4), ბოგანსი (3), გარიტი (3), აგუსტინი

**დეტროიტი 115:103 მინესოტა**

**დეტროიტი:** ჰეიესი (20), ჰამილტონი (18), ბილაფსი (17)

**მინესოტა:** ჯეფერსონი (30), მაკანტსი (19), გომესი (14)

**ნიუ ჯერსი 112:108 შარლოტი**

ძირითადი დრო 94:94

**ნიუ ჯერსი:** ჯეფერსონი (28), კარტერი (18), ჰარისი (17)

**შარლოტი:** რიჩარდსონი (31 ქულა, 10 მოხსნა, 8 ჩაჭრა), მუჰამედი (19), ფელტონი (18)

**ნიუ ორლეანი 114:92 კლიპერსი**

**ნიუ ორლეანი:** ვესტი (32), პოლი (22 ქულა, 12 პასი)

**კლიპერსი:** ტორნტონი (26), მაგეტი (13)

**პორტლენდი 113:91 მემფისი**

**პორტლენდი:** ჯონსი (20), ჯეკი (18), როი (16 ქულა, 11 პასი), ფრაი (16)

**მემფისი:** უორიკი (17 ქულა, 14 მოხსნა), ბრაუნი (16), გაი (16)

**ლეიკერსი 124:101 საკრამენტო**

**ლეიკერსი:** გასოლი (22), ბრაიანტი (20), ოდომი (15 ქულა, 12 მოხსნა), რადმანოვიჩი (14)

**საკრამენტო:** დუბი (32), უდრიჰი (22), გარსია (15)

**ზაზა ფაჩულიას** „ატლანტა ჰოქსს“ განაღდებული აქვს პლეი ოფი, სადაც ის მერვე ნომრად განთესილი წარდგება, მანამდე ვერც ზევით აიწევს და არც დაქვეითება ემუქრება, ასე რომ, რეგულარული ჩემპიონატის უკანასკნელ შინაურ მატჩს მსუბუქად მიუდგა და დამაჯერებლად... წააგო „ორლანდო მეჯიქთან“.

თავად ზაზა ფაჩულიამ თითქმის ისე ითამაშა, როგორც მთელი სეზონის განმავლობაში თამაშობდა: შეცვლაზე შევიდა, მოედანზე თითქმის 20 წუთი დაჰყო და გააკეთა მოკრძალებული ოდენობის ქულები და მოხსნები. მაგრამ ეს თამაში მაინც ერთგვარად გამორჩეული გამოვიდა მისთვის, რაკი ქართველმა ცენტრმა მისთვის უჩვეულოდ ბევრი, 5 პასი გააზერხა, პირველად მიმდინარე სეზონში.

„ატლანტამ“ კი რეგულარულში საკუთარი გულშემატკივრების თვალწინ ჩატარებული უკანასკნელი მატჩი, ასე, მესამე მეოთხედში წააგო, როცა დიდი შესვენებიდან 4-ქულიანი უპირატესობით გამოსულმა სტუმრებს 10 ქულით წინ გაჭრის ნებართვა უბოძა და მათ უხეირო მსროლელ კენიონ დულინგს კარიერაში უმეტესი ქულის გაკეთების საშუალება მისცა. თანაც კიდევ ექვსმა ორლანდოელმა დააგროვა 10 და მეტი ქულა და რა გასაკვირია, მასპინძლებს ხელიდან რომ გამოეცალათ მატჩი.

დასავლეთშიც დასრულდა როგორც პლეი ოფში გამსვლელთა, ასევე პირველობისთვის მებრძოლთა უსასტიკესი დავა. პირველობა და შესაბამისად ყველა დასავლელთან მოედნის უპირატესობა დაიბევა „ლეიკერსმა“, ვინაც რეგულარული 15 აპრილს შინ, „საკრამენტოს“ ძლევით დაასრულა და მისებრ 57 თამაშის მომგებ „ნიუ ორლეანს“ პირად შეხვედრებში უკეთესი ბალანსის ხარჯზე აჯობა. ამგვარად, კობი და კომპანია 2004 წლის შემდეგ პირველად შეუძღვებიან დასავლელებს პლეი ოფში, სადაც მათი პირველი მეტოქე „დენვერი“ იქნება.

კრის პოლის სამწლიან კარიერაში პლეი ოფში პირველად და ასე რიხით გასულ „ნიუ ორლეანს“ კი საწყის ეტაპზე გამოცდილი „დალასი“ ერგო და ვნახოთ, როგორ ჩააბარებს პირველ გამოცდას ვარსკვლავიჭუნა პოლი, ვინაც სულ სამი სეზონია ნბა-შია, ჯერ მხოლოდ 22 წლისა გახლავთ და ვინ იცის, ღლუხვალ იქნებ რეგულარული ჩემპიონატის უძვირფასეს მოთამაშედაც კი დაასახელონ.

**ივანე კოზიაშვილი**

კვარციტი QUARTZITE


ბადრი კიპიანის ფოტო

გუშინ, გამთენიისას, თბილისში რაგბის საერთაშორისო საბჭოს (IRB) მაღალჩინოსანი მარკ იგანი ჩამოფრინდა. კიგანი IRB-ში, წევრი ქვეყნების რაგბის განვითარების კომიტეტს ხელმძღვანელობს და თანამდებობით მხოლოდ IRB-ის პრეზიდენტს და ვიცე-პრეზიდენტს ჩამორჩება. ერთი სიტყვით, ჩვენს რაგბის კავშირს საკმაოდ გავლენიანი სტუმარი ჰყავს, რომელზეც მეტწილად არის დამოკიდებული ჩვენი სარაგბო ინფრასტრუქტურის განვითარება...

# ფული თქვენი, ღვინო ჩვენი

**იგანმა** გუშინ „შევარდენის" სტადიონი დაათვალიერა, რომელიც მომავალში სარაგბო აკადემიად მოიაზრება. იგანმა „შევარდენის" სტადიონს მისხალ-მისხალ გაეცნო, ფოტოებიც გადაიღო და ჩვენი კავშირის უფროსობას რჩევებიც მისცა, სად რისი გაკეთება აჯობებს. საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა გია ნიჟარაძემ სტუმარს ჩვენი ნაკრების რამდენიმე წევრი გააცნო, რომლებიც „შევარდენზე" ლევან ცაბაძის მეთვალყურეობით ვარჯიშობდნენ. იგანმა „ლელოების" მოიერიშე გიორგი შკინინი თავად იცნო. შკინინმა მსოფლიოს თასზე ირლანდიას ულამაზესი ლელო გაუტანა. იგანიც ირლანდიელია და სხვათა შორის, ჩვენების მწვრთნელ ტიმ ლეინთან კარგა ხნის მეგობრობა აკავშირებს. თუმც ამაზე ცოტა ქვემოთ ვთქვათ. როდესაც იგანმა „შევარდენი" შემოიარა, მასპინძლებმა სტადიონის ტერიტორიაზე გაშენებული ტალავერის ნაჟურიც გაასინჯეს. იგანს წითელი ღვინო აშკარად მოეწონა და ჭიქა ბოლომდე დაცალა, მერე კი ჩვენთან სასაუბროდაც მოიცალა.

— კმაყოფილი დარჩით აქ ნანახით, თუ მეტს ელოდით?

— არა, ვიცოდი, რომ საქართველოში სარაგბო ინფრასტრუქტურა პრაქტიკულად არ არსებობს და ამის გამოსასწორებლად ვარ ჩამოსული. მე უკვე გავეცანი საქართველოს რაგბის კავშირის გეგმას და სიმართლე გითხრათ, კმაყოფილი დავრჩი. საქართველო უკვე სარაგბო ერია, მსოფლიო რეიტინგში მე-14 ადგილზეა და ჩვენს ინტერესებშიც შედის ასეთი ქვეყნების დახმარება. ჩვენზე რაც იქნება დამოკიდებული, ყველაფერს გავაკეთებთ, თუმცა მთავარი ფაქტორი მაინც სახელმწიფოს დახმარებაა. პირველ რიგში მთავრობა უნდა დაეხმაროს ქართულ რაგბის. თუ მთავრობა, ვთქვათ, 100 ათასს ჩადებს რაგბიში, ჩვენ ორჯერ გაზრდილი თანხით დაგეხმარებით.

— დაახლოებით რა თანხით აპირებთ საქართველოს რაგბის კავშირის დახმარებას?

— კონკრეტული თანხას ვერ გეტყვით, რადგან ჩვენი ბიუჯეტი ოქტომბერში დამტკიცდება. ჯერჯერობით ყველაფერზე 240 ათასი გირვანქა სტერლინგი გვაქვს გამოყოფილი, მაგრამ ეს ფული სხვა ქვეყნებზეც უნდა გადანაწილდეს. ოქტომბერში ბიუჯეტი საგრძნობლად გაგვეზრდება და მერე მეცოდინება, რამდენს მიიღებს თქვენი კავშირი. მანამდე კი დავაფინანსებთ ხელოვნურსაფარიანი და ბუნებრივსაფარიანი მოედნების გაკეთებას. „შევარდენის" ბაზას სერიოზული მოვლა და განახლება სჭირდება. გარდა ამისა, ივნისში რუმინეთში უკვე მეორედ გაიმართება IRB-ის ერთა თასი, რომელშიც საქართველოს ნაკრებიც ითამაშებს. ჩვენი კომიტეტი ქართული დელეგაციის ხარჯებს სრულად დაფარავს, ეს კი დაახლოებით 100 ათასი ფუნტ-სტერლინგია. ასევე დავაფინანსებთ ნაკრების შეკრებას და ორგანიზებას გავუკეთებთ ტესტ-მატჩებს. გეგმაში გვაქვს, რომ საქართველოში ჩამოვიყვანოთ ფიჯის, სამოას და აშშ-ს ნაკრებები. ფინანსურად მათ დაინტერესებას ჩვენ ვკისრულობთ. ეს ყველაფერი მხოლოდ დასაწყისია, მერე და მერე მეტის გაკეთებას შევძლებთ.

— როგორც ვიცით, თქვენ საქართველოს ნაკრების მწვრთნელ ტიმ ლეინთან მეგობრობთ...

— ტიმს დიდი ხანია ვიცნობ. მორაგბეობისას იაპონიაში ვთამაშობდი. იქ არის ასეთი კომპანია „კობი სტილი", რომლის სარაგბო კლუბში ხუთი წელი ვირიცხებოდი. სხვათა შორის, მაშინ „კობი სტილმა" ზედიზედ შვიდიჯერ მოიგო იაპონიის ჩემპიონატი. ერთხელ ავსტრალიაში წავედით შეკრებაზე და ტიმ ლეინს ვთხოვეთ, კონსულტაციები გაეწია ჩვენთვის. ტიმმა ორი კვირა გვავარჯიშა და ამ მოკლე დროში ძალიან ბევრი გვასწავლა. იქიდან მოყოლებული, მასთან მეგობრული ურთიერთობები ჩამომიყალიბდა.

**ბაჩო სვანიძე**

## geo_geo_fan@hotmail.com

**DATO_GUGAVA:** კიდევ ერთი თარიღი შეემატა ქართველთა სიამაყისა და სპორტული ზეობის დღეებს... თურმე ტყუილად ვშიშობდით და ვწუწუნებდით „შესუსტებული" შემადგენლობის თაობაზე...

ამ ჯერზე, მხოლოდ ერთ ეპიზოდზე შევჩერდები, რომელსაც ალტაცების გარეშე ვერ ვიხსენებ... თამაშის ბოლო წუთებია და რუსები გვეძალებიან. ქართველებმა ბურთი მოიპოვეს და უხერხულ პოზიციაში, ლამის საკუთარ ჩასათვლელ მოედანში მდგომ პარტნიორს (მგონი მალაღურაძეს) გადააწოდეს... ფიქრისა და მომზადებისთვის წამის მეასედები თუ რჩებოდა... ორიოდე მეტრში მყოფი მოწინააღმდეგე გავეშებული გამოიქცა... დიდი შანსი იყო, რომ ან საერთოდ დაგვეკარგა ბურთი, ან არა და აუტში ბურთის მოგერიებას რუსებისთვის მორიგი საიერიშო პლაცდარმი შეექმნა... მანაც ცენტრისკენ ისეთი დაჰკრა, ოვალური ბურთის ბედის ქვეშ ყოფნას არავის ვუსურვებდი... შემდგომ რაც მოხდა, ხომ საერთოდ... თავად სიტუაციის განმმუხტავმა გმირმა (დაღლილმა და არაქათგამოცლილმა, მატჩის დაახლოებით 75-ე წუთზე) დაახლოებით 50 მეტრიანი დისტანცია ელვისებურად, რამდენიმე წამში(!) დაფარა და ცენტრთან ახლოს, ბურთის დამჭერ რუსს გამეტებით დაეძგერა... ამ ბიჭებმა უნდა იცოდნენ, რომ ყოველი მცირე, ერთი შეხედვით შეუმჩნეველი ეპიზოდი თუ ნიუანსი სინამდვილეში ალუნუსხავი არ რჩება... ამ მატჩში ბევრი იყო ასეთი. და დამერწმუნეთ, ჩვენ ყველა მათგანი გვახსოვს... უბრალოდ, აქ მხოლოდ ერთი ვახსენეთ, ერთი ეპიზოდი. უფრო ხშირად ვწეროთ, ვილაპარაკოთ, გავაშუქოთ ასეთი მომენტები. იქნებ, სხვა სპორტის მიმდევრებზე ან სრულიად ჩვეულებრივ ადამიანებზეც იქონიოს დადებითი გავლენა. მართალი გითხრათ, აღარ მახსოვს, ბოლოს როდის ვნახე, ფეხბურთელს მატჩის მიწურულს, ნახევარი მოედანი თავგანწირვით გაერბინოს და მოწინააღმდეგისთვის პრობლემა შეექმნას. ჩვენ ყველაფერს ვხედავთ და ვაფასებთ.

უდრეკი ქართველების ცოცხლად ნახვის შანსი კი 26 აპრილს გვეძლევა. მჯერა, თავხედ ესპანელებთანაც გაიმეორებენ ქართველები ანალოგიურად ამაღელვებელ მომენტებს. სწორედ ამიტომ, ყველა, ვინც ვგრძნობთ, რომ ამგვარი, პატარა-დიდი ეპიზოდები ცხოვრების ძალასა და სიამაყეს გვიბრუნებს, წავიდეთ, წავიდეთ, სათქმელი მადლობა ომახიანად ვუთხრათ და შემდეგ სიხარულით სავსენი შევხვდეთ უფლის აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს.

geo_geo_fan@hotmail.com



# ეს მოთელვა იყო
## ყველაფერს ოლიმპიადაზე ნახავთ

*პორტუგალიის ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა გუნდური მე-2 ადგილი დაიკავა, რაც ურიგო შედეგი ნამდვილად არ არის, მაგრამ ოლიმპიადა ახლოვდება და უმაღლეს მწვერვალებს შეჭიდებული ქართველი ძიუდოისტების ნებისმიერ ნაბიჯს ჩვენი გულშემატკივარი და მასმედია რომ გამადიდებელი შუშით აკვირდება, რაღა გასაკვირია. მართალია, ლისაბონში 1 ოქროს და 3 ბრინჯაოს პატრონები გავხდით, მაგრამ ბევრი ამ შედეგს შეიძლება, სამართლიანად ჩაეძიოს. ყოველივე ამის შესახებ ეროვნული გუნდის მთავარ მწვრთნელ* **შოთა ხაბარელს** *ვესაუბრეთ...*



**— ბატონო შოთა, კმაყოფილი ხართ პორტუგალიის ევროპის ჩემპიონატით?**

— მინდა გითხრათ, რომ შედეგებით ნამდვილად კმაყოფილი ვარ. ეს ტურნირი ძალიან წაადგა ოლიმპიადისთვის მზადებას. ევროპის ჩემპიონატი გენერალური რეპეტიცია იყო, მოჭიდავეებმა ყველაფერი უნდა გაანალიზონ და დასკვნები გააკეთონ. მოკლედ, გასულ შეჯიბრებას მოთელვას ვუწოდებ, რომლის შემდეგაც მთავარი ბრძოლა იწყება.

**— ლისაბონში გამგზავრებამდე ლევან ჟორჟოლიანზე თქვით, მისი არასტაბილურობა გამოუცდელობის ბრალიაო. ამჯერადაც იგივე მიზეზით მოისუსტა?**

— ლევანი პირველ რიგში ფსიქოლოგიურად ვერ განეწყო. ეს ნაწილობრივ, გამოუცდელობის ბრალიცაა. ამ პრობლემაზე გამუდმებით ვმუშაობთ და გარწმუნებთ, ოლიმპიადისთვის ყველაფერი რიგზე იქნება.

**— რას გვეტყვით ირაკლი ცირეკიძეზე...**

— დამარცხებაში ირაკლის მსაჯებიც დაეხმარნენ, მაგრამ, ვფიქრობ, ცირეკიძე მომხდარზე დასკვნებს გააკეთებს და როცა საჭირო იქნება, მაშინ იტყვის გადამწყვეტ სიტყვას.

**— ქევხიშვილმა სიურპრიზი ხომ არ შემოგთავაზათ. ამდენი ხნის უქმობის შემდეგ მისგან ბრინჯაოს მედალს ელოდით?**

— რა თქმა უნდა, მეტის მიღწევაც შეეძლო, მაგრამ არ გაუმართლა. იგი უნიჭიერესი მოჭიდავეა.

**ზურაბ მიგრიაული**

# ცირეკიძე აჩქარებით ბრინჯაოს დასჯერდა

*ირაკლი ცირეკიძემ ევროპის ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალი კი მოიპოვა, მაგრამ მას ისე ჰყავს განებივრებული ძიუდოს ქართველი გულშემატკივარი, რომ ლისაბონურ მესამე ადგილს არცთუ კარგ შედეგად უთვლიან. მან ნახევარფინალში აზერბაიჯანელ ელკან მამადოვთან წააგო, არადა, თბილისის მსოფლიოს თასზე ირაკლიმ მამადოვი ადვილად დაამარცხა და ისედაც, აზერბაიჯანელი არ წარმოადგენს ცირეკიძისთვის უხერხულ მეტოქეს. ამჟამად ქართველი მსოფლიოს ჩემპიონი მცირე ხნით ისვენებს და მალე ისევ განაგრძობს ოლიმპიადისთვის მზადებას. ირაკლი ცირეკიძეს ტელეფონით შევეხმიანეთ და მანაც ევროპის ჩემპიონატის პერიპეტიებზე გვიამბო...*



**— როგორ შეაფასებდი გასულ ევროპის ჩემპიონატს?**

— რა თქმა უნდა, წარმომადგენლობითი ტურნირი იყო, ძლიერი მოჭიდავეები გამოდიოდნენ. მესამე ადგილის გამო ცოტათი გულდაწყვეტილი ვარ. ალბათ, ეს ყველაფერი იმის შედეგიცაა, რომ მთლიანად ოლიმპიურ თამაშებზე ვარ ორიენტირებული.

**— რას გვეტყვი ნახევარფინალურ ორთაბრძოლაზე. ელკან მამადოვისთვის ადრე მოგიგია...**

— ახლაც ვიგებდი. იუკო ავულე. მსაჯმაც გააფრთხილა, მაგრამ შეხვედრის დასასრულისკენ თითქოს ავჩქარდი და ვაზარზე დავეცი. სიტუაციის გამოსასწორებლად დრო აღარ მეყო.

**— ოლიმპიადამდე რამდენიმე მსოფლიოს თასია. აპირებ მათში მონაწილეობას?**

— ალბათ სტამბოლის ტურნირზე ვიჭიდავებ, ოღონდ, ვაპირებ 100 კგ წონით კატეგორიაში ვცადო ძალები. თან წონაში დაკლებასაც მოვერიდები.

**— წონის პრობლემა გაქვს?**

— პრობლემა წონის დაკლებაზე არ მაქვს. 3-4 კილოგრამს ადვილად ვიკლებ, მაგრამ ამ ეტაპზე ზედმეტი დატვირთვისგან თავს შევიკავებ.

**ზურაბ მიგრიაული**

# კორტებზე თიხამ დარეკა



ტომი ჰაასი ჰიუსტონიდან დაიფრინეს

**საგრუნტო** სეზონი უკვე შეიძლება ოფიციალურად გახსნილად გამოცხადდეს — საჩოგბურთო სამყაროს ეპიცენტრმა ისევ ევროპაში გადმოინაცვლა, სადაც უახლოესი ორი თვის განმავლობაში მსოფლიოს უძლიერესი მეჩოგნეები თიხნარზე გაარკვევენ ურთიერთობებს. ამ კვირაში ერთი ტურნირი ჰარდზეც იმართება, კერძოდ კი ჰიუსტონში, მაგრამ აქ ისეთებმა მოიყარეს თავი, რომლებსაც გრუნტზე თამაში ეზიზღებათ და ცდილობენ, ბოლომდე გამოიყენონ მაგარსაფარზე თამაშის საშუალება. თუმც ჩოგბურთელთა უმრავლესობა უკვე ევროპაშია და ნაწილმა უკვე დაიწყო ახალ საფარს შეგუება, ნაწილი კი ამას უახლოეს ორ კვირაში იზავს.

თიხნარზე ნაადრევად გასულთა რიცხვშია როჯერ ფედერერიც — უკვე ვიუწყებოდით, რომ ალპელმა ახალი მწვრთნელი დაიქირავა და ცუდად დაწყებული სეზონის ანაზღაურებას სწორედ გრუნტზე გეგმავს. თუმც შვეიცარიელის პირველი თამაშიდან თუ ვიმსჯელებთ, მას კარგი არც თიხნარზე ელის რამე. „მხიარული როჯერი“ ბეწვზე გადაურჩა კიდევ ერთ დიდ იმედგაცრუებას, როცა პორტუგალიური ეშტორილის პირველ წრეში დიდი წვალებითა და ჯახირით მოუგო ოლივიე როხუსს. არადა, კარგი სათამაშო ფორმით ვერც როხუსი დაიკვეხნის, რადგან აქამდე ზედიზედ ოთხ ტურნირზე პირველ წრეში დამარცხდა. ამის მიუხედავად, ბელგიელმა შეხვედრა უკეთესად დაიწყო, პირველი სეტიც მოიგო და არც მერე დაუყრია იოლად ფარ-ხმალი. ფედერერი კი, თუ რამით გამოირჩა, მხოლოდ შეცდომების დიდი რაოდენობით — შვეიცარიელმა 53 უნებლიე შეცდომა დაუშვა, რაც მისთვის ხშირად ტურნირის ნორმა იყო ხოლმე. თუმც გამარჯვებულებს არ ასამართლებენ და ალპელსაც დროებით მოვეშვათ — ეგებ ვიქტორ ჰანესკუსთან მომავალ დაპირისპირებაში უკეთ იჩოგნაოს.

სამაგიეროდ, ადვილად იხეირა ტურნირის მეორე ნომერმა ნიკოლაი დავიდენკომ — ორიოდ კვირის წინ კიბისკეინის მასტერსის მომგები რუსი ახალ საფარზეც ჩაუქობს და მშვენივრადაც გამოიყურება. რუსმა ქვა ქვაზე არ დატოვა იურგენ მელცერისგან და ავსტრიელის მისაჩოგნად საათი იმყოფინა.

ვალენსიაში კი მასპინძლეთა სიჭარბეა და გასაკვირი არაა ბლომად შიდაესპანური გარჩევების მოსწრენი რომ ვხდებით. ერთ-ერთი ასეთი დერბი მოიგო ტურნირზე პირველ ნომრად განთესილმა დავიდ ფერერმა — შარშან თავგამოჩენილ პირინეელს ეს სეზონი რალაც ვერ აეწყო და ამიტომ ახლა საკუთარი ტრიბუნების წინ არაფრის დამთმობი არ არის. პირველ წრეში კი ფერერი ივან ნავაროს გაუმკლავდა.

იხეირა ტურნირის ბოლო ორი წლის ჩემპიონმა ნიკოლას ალმაგრომაც, რომელსაც ასევე თანამემამულე მიგელ ანხელ ლოპეს-ხაენის დამარცხება მოუწია. ალმაგროს ახლა არგენტინელ ედუარდო შვანკის ბარიერის გადალახვა მოუწევს. მასპინძელთა კოჰორტამ ერთი სერიოზული დანაკლისიც განიცადა — მარატ საფინმა ძალიან დაძაბულ ჯახში გააკრა ბეჭებზე ტურნირის მეოთხე ნომერი ხუან-კარლოს ფერერო. ეტყობა, გოლიათ რუსს წაადგა დევისის თასზე თამაში, რადგანაც ასე დამაჯერებლად მას კარგა ხანია არ უთამაშია — სხვა თუ არაფერი, აქამდე სეზონში მხოლოდ ერთი მატჩი ჰქონდა მოგებული.

ჰიუსტონში მომხდარი საინტერესო ამბებიდან კი აუცილებლად უნდა აღინიშნოს მეორე ნომერ ტომი ჰაასის გავარდნა. ეს საპატიო მისია იგორ კუნიცინმა იკისრა და გერმანელი მატჩის დაწყებიდან მესამე საათის თავს დაამამათა.

ქალები კი ამ კვირაში ჩარლსტონსა და იმავე ეშტორილში ეჯიბრებიან ერთმანეთს. ამ ორიდან ამერიკულ საპორტო ქალაქში გაცილებით სერიოზული შემადგენლობაა შეკრებილი, რადგანაც ეს ტურნირი ისეთმა ბობოლებმა დააფასეს, როგორებიც ელენა იანკოვიჩი, მარია შარაპოვა და სერენა უილიამსი არიან. ამ სამეულიდან კორტზე გასვლა ჯერ მხოლოდ უმცროს შავდას მოუწია და მანაც გრუნტზე თავისი პირველი წლევანდელი გამოცდა წარმატებით ჩააბარა, როცა გიზელა დულკოს ორ სეტში მოუთავა საქმე.

**ქახა ლომჯიშვილი**

# ფლორიდაში ერთი ქართველიღა დარჩა



ანა ტატიშვილი

**სალომე დევიძემ**, ვინც ამ ოთხი წლის წინ WTA-ს რეიტინგში 254-ე იყო, ახლა კი 605-ე ადგილზეა ჩამოქვეითებული, ეგრეც ვერ მოახერხა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ფლორიდული პალმ ბიჩის თიხნარზე ITF-ის ეგიდით მიმდინარე 25-ათასიანი ტურნირის ძირითად ბადეში მოხვედრა.

საკვალიფიკაციო ეტაპზე სალომემ ორი წრე კი გაიარა, მაგრამ გადამწყვეტ, მესამე შეხვედრაში ვერაფერი მოუხერხა და 4:6 1:6 წააგო 17 წლისა და კლასიფიკაციის 608-ე საფეხურზე მყოფ ამერიკელ ჩელსი გალიქსონთან.

ამრიგად, პალმბიჩური შეჯიბრის ძირითად ბადეში ერთადერთი ქართველი, ანა ტატიშვილი დარჩა, რომელმაც უკვე მოასწრო პირველი ბარიერის გადალახვა. 20 წლისა და რეიტინგში 426-ე ადგილზე მყოფ ამერიკელ ჯესიკა კირკლენდთან შეხვედრაში 18 წლის ანამ პირველი სეტი 5:7 დათმო, მეორეში კი 4:0 რომ დაწინაურდა, მისმა მეტოქემ ტრავმის მომიზეზებით შეწყვიტა თამაში.

მეორე წრეში ტატიშვილი კიდევ ერთ ამერიკელს, მეორე ნომრად განთესილ 25 წლის რეიჩელ კოპსჯონსს შეხვდება, ვინც რეიტ

ინგში 177-ეა და პირველ წრეში თავის თანამემამულე სტეფანი დიდოვს 6:2 6:3 გაუსწორდა.



# პლეი ოფი პირველი წრე

15 აპრილი

**ფილადელფია 6:3 ვაშინგტონი**

*3:1 1:1 2:1*

*სერია ფილადელფიას მიჰყავს 2:1*

1:0 ბრიარი (17, პროსპალი, კობერნი), 1:1 ფერი (18, ბრაშირი, სტეკელი), 2:1 ჰარტნელი (19, პროსპალი, ბრიატი), 3:1 კაპანენი (19, დაუდი), 3:2 გრინი (28, უმრ. სიომინი, ოვეჩკინი), 4:2 ბრიარი (40, უმრ. რიჩარდსი, პროსპალი), 4:3 ლეიჩი (56, მორისონი, გრინი), 5:3 რიჩარდსი (58, ბულიტი), 6:3 კნუბლი (59, ცარ. კარში, ეპშოლი)

**ბოსტონი 0:1 მონრეალი**

*0:0 0:1 0:0*

*სერია მონრეალს მიჰყავს 3:1*

0:1 ბრიზბუა (40, უმრ. ა. კოსტიცინი, კოვალიოვი)

**დალასი 2:4 ანაჰაიმი**

*0:3 0:1 2:0*

*სერია დალასს მიჰყავს 2:1*

0:1 მარჩანტი (7, მოენი, პრონგერი), 0:2 გეცლაფი (11), 0:3 პრონგერი (15, უმრ. ბერტუცი, ვაიტი), 0:4 პრონგერი (26, უმრ. სელიანე, გეცლაფი), 1:4 მოროუ (46, უმრ. მოდანო, რიბეირო), 2:4 მოროუ (48, უმრ. მოდანო, რიბეირო)

**კალგარი 2:3 სან ხოსე**

*1:0 1:1 0:2*

*სერიაში ანგარიშია 2:2*

1:0 იგინლა (4, ლენგკოუ, ტანგეი), 1:1 კლოუ (31, მარლო, ტორნტონი), 2:1 ფანაფი (39, იგინლა), 2:2 ჩიჩუ (56, პავლსკი, სეტოგუჩი), 2:3 ტორნტონი (60, მირუეი, კლოუ)

**კოლორადო 5:1 მინესოტა**

*3:0 2:0 0:1*

*სერიაში ანგარიშია 2:2*

1:0 ბრიუნე (5, სალეი, ლეოპორტი), 2:0 ვოლსკი (6, ლაპერიე), 3:0 არნასონი (12, უასისტენტოდ), 4:0 სალეი (28, უმრ. არნასონი, ლეოპორდი), 5:0 ჰეიდუკი (37, უმრ. სმიტი, საკიკი), 5:1 კოივუ (44, უმც. კარნი, როლსტონი)

# მფრინავებმა ოვეჩკინი გააქრეს

**როგორც** მოსალოდნელი იყო, ძალიან დაძაბულად და სრულიად არაპროგნოზირებადად ვითარდება სერია „სან ხოსესა “ და „კალგარის“ შორის — გუნდები არაფერს თმობენ, რის გამოც წყვილში ინიციატივა ხელიდან ხელში გადადის და თუ რამე სასწაული არ მოხდა, აქ ყველაფერი მეშვიდე მატჩში უნდა გაირკვეს. წინა შეხვედრაში სამშაიბიანი უპირატესობის განიავებამ მართლაც სერიოზულად გააბრაზა „ზვიგენები“, რომლებმაც შთამბეჭდავად ითამაშეს და სერიაში ანგარიში გაათანაბრეს. კალიფორნიული გუნდი განსაკუთრებით სოლიდურად დაცვაში გამოიყურებოდა, რადგანაც მასპინძლებს ევგენი ნაბოკოვის კარისკენ მხოლოდ 10-ჯერ დაარტყმევინეს — სხვათა შორის, ეს „კალგარის“ საფლეიოფო ანტირეკორდია.

თუმც, რაც არ უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, ასეთი დიდებული თამაშის ფონზეც, „სან ხოსეს“ მაგრად რომ არ გამართლებოდა, ისევ წააგებდა — შეტევაში პასიურობის მიუხედავად, შეხვედრის დამთავრებამდე 3 წუთით ადრე წინ მასპინძლები იყვნენ, მაგრამ აქ ჯონატან ჩიჩუს გაუმართლა, რომელმაც კარგად ისარგებლა მიკა კიპრუსოფის ერთადერთი შეცდომით და ანგარიში გააყაიმა. ამით ფრთაშესხმულა „ზვიგენებმა“ საქმის ოვერტაიმისთვის გადადება აღარ მოისურვეს — მატჩის დამთავრებამდე 9 წამით ადრე თავი უკვე სტუმართა ლიდერმა ჯო ტორნტონმა გამოიჩინა, რითაც თავის გუნდს მოაგებინა და მოედნის უპირატესობაც დაუბრუნა.

ნელ-ნელა გამოდის შოკიდან მეორე კალიფორნიული გუნდიც — მოქმედმა ჩემპიონმა „ანაჰაიმმა“ სახლში წაგებული პირველი ორი მატჩის შემდეგ ოდნავ შვებით ამოისუნთქა, რადგანაც დალასში ადგილობრივ „ვარსკვლავებს“ გაუსწორდა. „იხვებს“ კრის პრონგერმა ულიდერა და როგორც ნამდვილ კაპიტანს შეეფერება, გუნდისთვის ყველაზე საჭირო მომენტში გამოამჟღავნა საუკეთესო თვისებები. პრონგერმა სამი ქულა დააგროვა (1+2) და თავისი პირდაპირი მოვალეობაც ხუთიანზე შეასრულა, როცა განძრევის საშუალება მოუსპო ტეხასელთა საუკეთესო ბომბარდირ მაიკ რიბეიროს.

ეტყობა, შვიდი შეხვედრის ჩატარება მოუწევთ „მინესოტასა“ და „კოლორადოსაც“ — გუნდები რიგრიგობით იგებენ და ამიტომ უპირატესობა ჯერ ვერც ერთმა ვერ მოიპოვა. თუმც წინა შეხვედრებისგან განსხვავებით, ამჯერად საქმე ოვერტაიმადე აღარ მისულა, რადგანაც დენვერულმა გუნდმა უკვე პირველი პერიოდში სამჯერ გაარღვია „ველურების“ დაცვა და მათი კიპერი ნიკლას ბექსტრიომი.

საქმის მალე მოთავების შანსი მიეცა „მონრეალს“, რომელმაც მჭიდრო დაცვით ჩახუთა „ბოსტონი“. იყოჩაღა ახალბედა კერი პრაისმაც, რომელმაც პირველი პლეიოფური შატაუტი მიითვალა, „კანადიენსს“ კი შემდეგ ეტაპზე გასვლამდე ერთი მოგებაღა აშორებს.

„ფილადელფია“ კი ჯერჯერობით დიდებულად ახერხებს ალექსანდრ ოვეჩკინის გაკავებას და „ვაშინგტონიც“ უკბილოდ გამოიყურება — სამი ჩატარებული შეხვედრიდან „მფრინავებმა“ რუს სუპერვარსკვლავს მხოლოდ ერთ პერიოდში მისცეს თავისუფლად თამაშის საშუალება.

**ქახა ლომჯიშვილი**



მონრეალელმა კერი პრაისმა კარი მშრალად შეინახა



# ხორვატული ისრები

**საქართველოს** მშვილდოსანთა ნაკრები მსოფლიოს თასის მე-2 ეტაპზე გამოვა. გათამაშებას ხორვატიის ქალაქი პორეჩი დღეიდან უმასპინძლებს. ხორვატიაში სამი ქართველი წავიდა — ხათუნა ნარიმანიძე, ასმათ დიასამიძე და ქრისტინე ესებუა. ჩვენი ნაკრები გუნდურ პირველობაშიც მიიღებს მონაწილეობს, სადაც 25 ქვეყანაა თავმოყრილი.

შეგახსენებთ, რომ ამ სამეულმა მსოფლიოს თასის პირველ ეტაპზე დომინიკის რესპუბლიკის დედაქალაქ სანტა დომინგოში გუნდური მესამე ადგილი დაიკავა, როდესაც ბრინჯაოს ფინალში ფრანგთა ნაკრებს მოუგო.

ხორვატიაში პირველ დღეს საკვალიფიკაციო სროლები შედგება, 17 აპრილს ჩემპიონები გამოვლინდებიან, 18-19 აპრილს კი გუნდური პირველობა გაიმართება. ისიც ვთქვათ, რომ ნაკრებიდან ორ მშვილდოსანს — ხათუნა ნარიმანიძესა და ქრისტინე ესებუას — საპეკინო ლიცენზიები აქვთ და ტურნირები, გარკვეულწილად, იმისთვის სჭირდებათ, რომ ოლიმპიადისთვის სათანადო ფორმაში იყვნენ.

**ლექსო მაისურაძე**





# მარანელოში ჯაშუშები არ ილევიან

**გერმანულ** „ბილდში“ გამოქვეყნებული ინფორმაციის მიხედვით, „სკუდერია ფერარის“ ბანაკიდან მორიგმა ინფორმაციამ გამოჟონა, ანუ შარშანდელი გახმაურებული „საჯაშუშო სკანდალის“ შემდეგ გუნდმა ისევ დაკარგა მის ინტელექტუალურ საკუთრებაში მყოფი ინფორმაცია და ამასთან დაკავშირებით ახალი გამოძიება წამოიწყო.

ამა წლის თებერვალში ჰოლანდიურმა ჟურნალმა „ავტოსპორტმა“ გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც ლაპარაკი იყო იმის თაობაზე, რომ მარანელოში, სადაც მდებარეობს „ფერარის“ ძირითადი ბაზა, მუშაობენ სრულიად ახალ წინა ანტიფრთაზე, რომელსაც ბოლიდის ცხვირის გასწვრივ დამატებითი ელემენტი ექნება დამონტაჟებული. არადა, იმ დროისთვის ეს ინფორმაცია კონფიდენციალური უნდა ყოფილიყო და საჯინიბოს კარეთ არავის არ უნდა სცოდნოდა.


ალდო კოსტა

ეგ კი არა, თუ „ბილდს“ დავუჯერებთ, თავად გუნდის შიგნითაც ახალი დეტალის შესახებ სულ რამდენიმე ადამიანმა იცოდა, რადგანაც სიახლეზე თანამშრომელთა უაღრესად ვიწრო წრე მუშაობდა.

როდესაც ინფორმაციის გაჟონვის შესახებ შეიტყო, „ფერარის“ ტექნიკური დირექტორი ალდო კოსტა, თურმე ვერაფრით იჯერებდა მომხდარს და გაცოფების პირას იყო მისული.

მომხდართან დაკავშირებით „ფერარიმ“ შიდა გამოძიება დაიწყო, რათა დაადგინოს, თუ საიდან მოხდა ინფორმაციის გაჟონვა.

**კახა ლომაძე**

# ბარიკელომ ბრაუნი დაამტკიცა

**ბარსელონაში,** სადაც წლეულს პირველი სეზონურ, საპირველფორმულო ჩემპიონატის ევროპული ეტაპებისთვის მოსამზადებელი სატესტო სესია მიმდინარეობს, მეორე დღეს, ყველასთვის მოულოდნელად, საუკეთესო შედეგი — 1 წუთი და 18,929 წამი „ჰონდას“ ბრაზილიელმა ვეტერანმა რუბენს ბარიკელომ აჩვენა.

მეორე შედეგი „ფორს ინდიას“ იტალიელ ჯანკარლო ფიზიკელას ჰქონდა, მესამე იყო წინ დღის საუკეთესო, „ფერარის“ ბრაზილიელი ფელიპე მასა, მეოთხე დრო კი კიდევ ერთ ვეტერანს, „რედ ბულის“ შოტლანდიელ დევიდ კულტჰარდს ჰქონდა. ამათ უკან კი „მაკლარენში“ შარშანდელი თანაგუნდელები, ინგლისელი ლუის ჰემილტონი და „მაკაბიდან“ „რენოში“ დაბრუნებული ესპანელი ფერნანდო ალონსო განლაგდნენ.

რა თქმა უნდა, ტესტებზე ნაჩვენებ დროს განსაკუთრებული ყურადღება არ უნდა მივაქციოთ, რადგანაც აქ ყველა გუნდი, მხოლოდ მისთვის პრობლემატურ რაღაც დეტალებზე მუშაობს და თანაც, „ჰონდა“, „ფორს ინდია“, „რედ ბული“, „ფერარის“ „მაკლარენისა“ და „რენოსთან“ შედარებით, გაცილებით „სწრაფი“ საბურავებით იყვნენ აღჭურვილნი.

მიუხედავად ამისა, „ჰონდას“ წარმატება მაინც აღსანიშნავია და ამასთან დაკავშირებით, უინტერესო არ უნდა იყოს იაპონური საჯინიბოს ახალი თავკაცის, „სამეფო რბოლების“ სამყაროში ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი სპეციალისტის, როს ბრაუნის გამონათქვამები, რომლებიც მან ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში გააკეთა.


რუბენს ბარიკელო

„ჩვენ ვიცოდით, რომ საჭირო იყო რამდენიმე ეტაპის გავლა და კაპიტალური სამუშაოს ჩატარება მანქანის განვითარების თვალსაზრისით. თანაც, არანაირი დადებითი შედეგის გარანტია არ გვქონდა. ჩვენ ეს ეტაპები უკვე გავიარეთ, რაც იმით მტკიცდება, რომ მთელ რიგ ასპექტებში მანქანა გაცილებით უკეთესი გახდა — განაცხადა „ჰონდა რეისინგ F1-ის“ დირექტორმა — წამის მეათედები უკვე ძალზე დიდი საქმეა იმ ჯგუფში, რომელშიც ჩვენ ვართ. ლაპარაკია პელოტონის შუა ნაწილზე და, თუ ჩვენ ცოტას კიდევ მოვუმატებთ, თავისუფლად შეგვეძლება, ამ ჯგუფს თავში მოვექცეთ. რატომღაც მგონია, რომ უკვე ამ სეზონში შევძლებთ ქულების მოპოვებას. ეს, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ ყველაფერს დასახული გეგმის მიხედვით გავაკეთებთ.“

**კახა ლომაძე**

# ბევრად მეტი BMW

**ტოტალიზატორის** მოყვარულთა ჟარგონით რომ ვთქვათ, გერმანული ავტოგიგანტი BMW კარგ „პალასაზეა“. ბავარიელთა ქუთვნილმა საპირველფორმულო გუნდმა „BMW-ზაუბერმა“ 5 აპრილს, ბაჰრეინის დიდ პრიზზე, ისტორიაში პირველი პოული მოიპოვა პოლონელ რობერტ კუბიცას ძალისხმევით, შემდეგ კუბიცამ და მისმა გერმანელმა თანაგუნდელმა ნიკ ჰაიდფელდმა უშუალოდ, რბოლაშიც მშვენივრად იჯირითეს და შედეგად, „სამეფო რბოლების“ წლევანდელ მსოფლიოს ჩემპიონატს გუნდურ ჩათვლაში, ანუ კონსტრუქტორთა თასზე, სწორედ „BMW-ზაუბერი“ ლიდერობს.

აი, ამ ყველაფრის შემდეგ ბავარიელებმა შეიტყვეს, რომ მათი სერიული ავტომობილები სარეკორდო რაოდენობით გაიყიდა და, არა მარტო გერმანიაში, არამედ საფრანგეთში, იტალიასა და დიდ ბრიტანეთშიც.

ფორმულა 1-ის მსოფლიოს ჩემპიონატის ეტაპზე მიღწეული წარმატებები მართლაც პირდაპირპროპორციულად აისახა გასაღებული სერიული ავტომობილების რიცხვზე — მარტო მარტის თვეში ბავარიელებმა 153 000 ავტომობილი გაყიდეს, ხოლო სულ, პირველ კვარტალში, 351 787 მანქანა გაასაღეს, რაც 6 პროცენტით მეტია შარშანდელ ანალოგიურ მაჩვენებელზე (332 933).

უშუალოდ, გერმანიაში გაყიდული ავტომობილების საქმე კიდევ გასაგებია, მაგრამ ცოტა არ იყოს, საკვირველია ის ინტერესები, რასაც BMW-ს მიმართ ფრანგები იჩენენ — 2008 წლის პირველ კვარტალში, შარშანდელთან შედარებით, საფრანგეთში გაყიდული ბავარიული ავსტომობილების რიცხვი 23,7 პროცენტით გაიზარდა.

**კახა ლომაძე**



# მოსლის ჰილმაც უკბინა

**მოსლის** საქმეზე, ანუ იმ სკანდალზე, რომელიც ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტის მაქს მოსლის ირგვლივ ააგორეს ბრიტანულმა გაზეთებმა, გამოხმაურებები კვლავაც გრძელდება.

შეგახსენებთ: ბრიტანულ პრესაში გამოქვეყნდა სენსაციური მასალა და ფოტოები, სადაც მოსლი დახასიათებულ-ნაჩვენები იყო, როგორც პროფაშისტული და სექსუალური გადახრების მქონე პიროვნება.

ამასთან დაკავშირებით აზრი ავტოსპორტის სამყაროს მრავალმა ცნობილმა წარმომადგენელმა გამოთქვა და მათი უმრავლესობა მოსლისადმი ნეგატიურად იყო განწყობილი — ამ ყველაფრის შემდეგ ის ფედერაციის თავკაცის პოსტიდან თავისით უნდა წავიდესო.

ერთ-ერთი მათგანი, ვინც კატეგორიულად დაგმო მოსლის ქმედებები, ბრიტანეთის ავტომრბოლთა კლუბის პრეზიდენტი, მსოფლიოს ექსჩემპიონი დეიმონ ჰილია. „ფორმულა 1-ს ყოველთვის ჰქონდა ერთგვარად სკანდალური და სარისკო იმიჯი, მაგრამ მოსლი ყოველგვარ დასაშვებ ჩარჩოებს გასცდა — განაცხადა მსოფლიოს 1996 წლის ჩემპიონმა — ძნელად, ვინმეს მორალის კითხვა უყვარდეს ვინმეს მიმართ, მაგრამ ამ შემთხვევაში ლაპარაკია პიროვნებაზე, რომელიც მთელს მსოფლიოში ავტოსპორტის სახეს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, ჩვენ დავკარგავთ ჩვენი სპორტის დადებით იმიჯს და პარალელურად, ბიზნესისა და პოლიტიკის წარმომადგენელთა ყურადღებას“.

**კახა ლომაძე**


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge